პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
ამიერკ. საქ. მ., გ. წ. არ. და მაზრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
თბილისი, კრუზენ. ქ.
№ 4. მე 3 სართული

მთავარი კანტორა:
თბილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე 2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. კოლექტიური 100,000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 800 ათ. მ.

№ 3 პარასკევი, 5 იანვარი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10.000 მან. № 3

დღიური

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასკომის არჩევნები.

ნარუტოვიჩის მკვლელ ნევედომსკის სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

ლოზანაში დაიწყო მოლაპარაკება რუსეთ-რუმინეთის დელეგაციებს შორის.

რუსეთის დელეგაციამ მემორანდუმით მიმართა მოკავშირეთა დელეგაციებს.

იტალიის კომუნისტები უშიშრათ განაგრძობენ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

9 იანვ. დანიშნულია თბილისის საბჭოს ხელახალი არჩევნები

თბილისის მუშები და წითელ არმიელები კვლავ ირჩევენ თავიანთ ხელისუფლების უზენაეს ორგანოს

გაუმარჯოს საბჭოებს! გაუმარჯოს მუშათა მასების ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას!

მიიღება ხელისმოწერა

გაზეთებზე 1923 წლის 1 იანვრისათვის

გაზეთი	რომელ ენაზე	ხელისმოწერის ფასი ერთი ეგზემპლიარი თვიში	
		ჩვეულებ.	კოლექტ.
„კომუნისტი"	ქართული	230.000	100 000
„პრავდა გრუზიი" . . .	რუსული	230.000	100 000
„კარმირ ასტღ"	სომხური	230.000	100.000

კოლექტიური ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთაგან იმ პირობით, თუ გაზეთების კანტორაში წარმოდგენილ იქნება ხელისმომწერთა საპირადო სია, რომელიც შემოწმებული უნდა იქნეს ადგილკომის მიერ. დაწესებულებანი, ქარხკომები, ადგილკომები დაკლებულ ფასებით არ სარგებლობენ. პარტ. დაწესებულებანი, იმ პირობით თუ ხელისმოწერა გაივლის უშუალოდ მთავარ კანტორაში, სარგებლობენ დაკლებული ფასებით.

ცალკე ნომრის ფასი

1923 წ. 1 იანვრიდან იქნება 10 000 მანეთი ყველგან.

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ და მხოლოდ საქ. პარტიულ საბჭოთა პრესის **ცენტრალურ კანტორაში** (გაზეთის ტრესტი) რუსთაველის პრ. 24. დილის 9—2 საათამდი.

1 იანვრიდან გაზეთებში „პრავდა გრუზიი", „კომუნისტი" და „კარმირ ასტღ" განცხადებებზე დაწესებულია შემდეგი ფასი:

ტექსტის შემდეგ 20 ათასი მან. ნონპარელის სტრიქონზე.

ტექსტამდე 40 ათასი მან. ნონპ. სტრ. ან ტექსტის შუა.

მრავალ-ჯერ გასამეორებელ განცხადებისათვის—შეღავათი, საკრედიტო 10 პროცენტით მეტი.

სამგლოვიარო განცხადება 500.000 მან. დილის 1-ლ საათამდე, შემდეგ კი 200 000 მანეთით მეტი

განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ დილის 1-ლ საათამდე.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის

პირადი შემადგენლობის გამწმენდი და შემმოწმებელი ცენტრალური კომისია ამით აცხადებს, რომ 1923 წლ.

1 იანვრიდან წმენდა დამთავრებულია

აღნიშნულ ვადის შემდეგ შემოსული საბუთები განხილული არ იქნებიან.

ცენტრალურ შემმოწმებელ კომისიის თავმჯდომარე ბოროზჩენკო.

შეფების ბიურო

სთხოვს ტფილისის გარნიზონის ყველა სამხედრო კომისებს ან სხვა და სხვა სამხედრო ნაწილების უფროსებს შემოიარონ ბიუროში (რუსთაველის პრ. 22, საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის ბინაზე) მოსალაპარაკებლად.

ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი **არუხტანოვი.**

შეფების ბიურო

სთხოვს ყველა იმ სამეურნეო და ადმინისტრატიულ ორგანოებს, რომლებიც ხრიან ჯარების ნაწილთა და სხვა და სხვა დაწესებულებათა (კლუბების და სხვა). შეფები, 5 დღის განმავლობაში გატარდენ ბიუროს რეგისტრაციაში და გამოჰყონ ერთი მუდმივი რწმუნებული შეფების საქმისათვის.

რწმუნებულებს წინადადება ეძლევათ აგრეთვე 5 დღის განმავლობაში გატარდენ შეფების ბიუროს რეგისტრაციაში (რუსთაველის პროსპ. 22, საქ. კომპ. ტფილისის კომიტეტის ბინაზე)

ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი **არუხტანოვი.**

„რეჟიმი უბადრუკობისა და უზურპაციის"

ასეთი სამართლიანი და გამოკვეთილი სიტყვებით ახასიათებს ვერსალის შემდეგ პერიოდებს ევროპის ისტორიისას არა რომელიმე „მაქსიმალისტური" ან [illegible] შეპყრობილი ფანატიკური რევოლუციის, არამედ ერთი ცნობილი პოლიტიკური ბელადი ასეთი მდგომარეობისათვის პასუხის მგებელი კლასის, ბელადი, რომელიც თავის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის გამო ახლო წარსულში, პირადათ არის ჩარეული ამ რეჟიმის შექმნაში.

სახეში გვყავს ყოფილი პრემიერ-მინისტრი იტალიის, ფრანჩესკო ნიტტი.

და რაც უფრო დრო მიდის და ვცილდებით ვერსალის „საზავო" ხელშეკრულების დადების მომენტს, რაც უფრო ტარდება ცხოვრებაში—რამდენადაც ტარდება საზოგადოთ—პირობები ამ ხელშეკრულების, მით უფრო აშკარავდება ყველა ხალხებისათვის რომელ ქვეყნისაც—დამარცხებულებს თუ გამარჯვებულებს—არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, მთელი ჭეშმარიტება ასეთი დახასიათების. კიდევ მეტი. როგორც ვხედავთ, თვით იდეოლოგებიცა და ხელმძღვანელები ბურჟუაზიის იძულებული ხდებიან აღიარონ, რომ ევროპაში გამეფებულია დღეს განიარაღების მაგიერ შეიარაღებისაკენ თავშეუკავებელი სრბოლა, სხვისი ტერიტორიისა და პატარა [illegible] ცვლათ, ყაჩაღობა და უზურპაცია, მშვიდობიანობისა და „სათნოების" მაგიერ—„ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ", სიძულვილი და მტრობა.

არც ერთი ლოზუნგი, არც ერთი ლამაზი სიტყვა, რომლებსაც ასე თვალთმაქცურათ ათამაშებდნენ შოვინიზმის ნისლში გახვეული ხალხების მოსატყუებლათ და გამოსაყუჩებლათ [illegible] ბურჟუაზიისა, არც ერთი ამ ლამაზი ლოზუნგებიდან არ გაკარებია სინამდვილეს, არც ერთს მათგანს არ შეუხამს ხორცი.

და ბუნებრივია რატომ. ომის შემდეგი პერიოდი ხასიათდება იგივე სოციალური ურთიერთობით ევროპის დიდ სახელმწიფოებში, როგორიც იყო ამ ომამდი. სახელმწიფო ძალაუფლება კვლავ მათ ხელშია, ვინც პატრონობს ქვეყნების დოვლათს მათი მოსახლეობის, შეიძლება ითქვას, სულსა და ხორცს. ასეთ პირობებში უნდა იყოს მხოლოდ ის, რაც არის ნამდვილად. შეიარაღება, ომები, ყაჩაღობა და უზურპაცია, ყო-

---

ვილივე ეს მოხერხებული „მზრუნველი" ხელით შენიღბული უამრავ სამშვიდობო კონფერენციებით, რომლებსაც ხალხთა აღშფოთებული შეგნების დასამშვიდებლათ, მიზნათ ისახავენ მშვიდობიანობის დამყარებასა და ეკონომიურ აღდგენას და რომლებზედაც ფაქტიურათ იხლართება შეურიგებელ წინააღმდეგობათა სულ ახალი და ახალი კვანძები. ასეთია მდგომარეობა კერძოთ ლოზანის კონფერენციაზე დღეს.

უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც შვეიცარიაში ლაპარაკობენ. ლაპარაკობენ იმის შესახებ თუ როგორ გაძარცვონ ოსმალეთი **ანტანტის დიდმა სახელმწიფოებმა**, თუმცა კონფერენცია უშუალო შედეგი იყო ოსმალეთ საბერძნეთის ომის და უნდა მოეწესრიგებინა მას საკითხები, შეხები ამ ორი მხარისათვის. სწორედ იმიტომ, რომ მათ საქმეშია ჩარეული მესამე (არა „მაყურებელი", [illegible], როგორც იტყვიან ხოლმე, არამედ უაღრესათ დაინტერესებული სხვისი გაძარცვით). სწორედ ამიტომ შეიქნა შესაძლებელი, რომ ამდენი ხნის სამშვიდობო ლაყბობის შემდეგ ორივე მხარე სასწრაფოთ ემზადებიან კვლავ სისხლის საღვრელათ და სცენაზე შესვლას აპირებიან სხვა სახელმწიფოებიც ბალკანეთის ნახევარ კუნძულის. აშკარავდება ყველასათვის ბოლოს და ბოლოს, რომ როგორც მოლაპარაკების დროს მუდანიაში, ისევე კონფერენციაზე ლოზანაში იმპერიალიზმი ისახავდა მიზნათ დროის მოგებას, ახალი ძალების დაგროვებას, ახალი, უფრო ენერგიული, ენით სალაპარაკოთ ოსმალეთთან.

ეს გარემოება რასაკვირველია კარგათ შეგნებული ჰქონდა თავიდანვე ამ უკანასკნელს; ამ საფრთხეს ის თვალს უსწორებდა და თადარიგი მიღებული ჰქონდა. შეურიგებელი პოზიცია, რომელსაც ადგა ოსმალეთი განსაკუთრებით მოლაპარაკების ზოგ პრინციპებში, მოწმობს იმაზე, რომ მას წარმოდგენილი აქვს შედეგები შეთანხმების, რომელსაც მას უმზადებს ინგლისი და რომელიც გამანადგურებელი იქნება ანგორისათვის. ამით აიხსნება ის შეთანხმებული გამოსვლებიც, რომელიც ასე ხასიათდება ოსმალეთ-რუსეთის დამოკიდებულება კონფერენციაზე...

პასუხისმგებელი მოღვაწენი ყაჩაღობის და უზურპაციის რეჟიმის კვლავ ცეცხლს აჩენენ და მის ალში ლამობენ გაახვიონ ახლო აღმოსავლეთი და შეიძლება მთელი ევროპაც. მაგრამ არის საბუთი ვიფიქროთ, რომ ეს „სისხლით სიმთვრალე" არ ჩაივლის დღეს ისე დაფარულათ, როგორც მოხდა მსოფლიო ომის დროს.

ბრძოლა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან

I

სულიერი კულტურა, იდეოლოგია—ძლიერი და ბასრი იარაღია თანამედროვე ეპოქის უდიდეს სოციალურ ბრძოლაში. ეს კულტურა საზოგადოებაში არსებული კლასობრივი წინააღმდეგობათა ასახვა და ანარეკლია და გამოხატავს თავისი შინაარსით ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასის ტენდენციებს, ზრახვებს და ინტერესებს. ბურჟუაზია იცავს კაპიტალისტურ წეს-წყობილებას არა მარტო შეიარაღებული ძალით, არამედ თავისი იდეოლოგიითაც, სკოლით, თეატრით, მოსყიდული პრესით და სხვა. ბურჟუაზიული სალიტერატურო გამოცემანი სარგებლობენ კაპიტალისტური ტრესტების და ცალკე მეცენატების უხვი სუბსიდიით, ამის გამო იაფად ჯდებიან და ვრცელდებიან უთვალავი რაოდენობით. მრავალი მილიონი ცალი გაზეთებისა აწვეთებს თავის მკითხველთა ტვინში ბურჟუაზიულ საწამლავს და ზრდის მათ კაპიტალისტური წეს-წყობილების ერთგულებაში. ბურჟუაზიული პრესა ამუშავებს ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს და თავის პატრონთა დავალებით აუგებს და სცვლის მთავრობებს. ამავე დროს მის გვერდზე მომქმედი მუშათა პრესა ფრთებ-შეკვეცილი და შემოფარგლულია როგორც მთავრობათა რეპრესიებით, აგრეთვე უსახსრობითაც, რადგანაც მისი საგამომცემლო ფონდი იქნება მხოლოდ ხელის მომწერთა მცირე წვლილებით. მოკლებული სუბსიდიებს თუნდაც განცხადების და რეკლამების სახით (ბურჟუაზია ასეთებს თავის პრესას აწვდის) მუშათა გაზეთები მოპირდაპირე ბანაკის გამოცემებზე უფრო ძვირი ჯდება. ცალკე უნდა აღინიშნოს სოციალისტ. ოპორტუნისტულ ორგანიზაციების შეხმატკბილება ბურჟუაზიულ „ოჯახთან", რაც მუშათა კლასის პოლიტიკურ შეგნებას აძინებს, მუშათა პრესის ძალას კაპიტალისტური ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქვეითებს, ასეთია მდგომარეობა ევროპასა და ამერიკაში.

მხოლოდ რუსეთის მუშათა კლასმა შესძლო ბრძოლის ამ უძლიერესი იარაღის გამოგლეჯა მოწინააღმდეგე კლასისაგან და მისი დაუფლება ოქტომბრის დიდი რევოლუციის წყალობით. სამოქალაქო ომის დამთენი, თეთრგვარდიელთა ორგანიზაციები და ხურა და კომუნისტურ აზროვნებას მიეცა ზრდის საშუალება. უწინ პოლიტიკურად გამრყვნელი და კლასობრივი შეგნების დამაბნელებელი იარაღი შეიქნა იარაღად პროლეტარიატის განთავისუფლების და მისი კულტურული დაწინაურებისა. სამოქალაქო ომის პერიოდს, მიუხედავად სახელმწიფოს რესურსების მიმართვისა უმთავრესად თავდაცვის საქმის მოწყობაზე, შეიძლება ჩაითვალოს მუშათა პრესის და რევოლუციონური ლიტერატურის ყვავილების ხანად. უხვად ვრცელდებოდა წითელ არმიაში, მუშათა წრეებში და სოფლადაც პოპულარულად დაწერილი ბროშურები, საგიტაციო ფურცლები და წმინდა სამეცნიერო ნაწარმოებნიც, რაც ხელს უწყობდა და ამტკიცებდა საბჭოთა ხელისუფლებას და აახლოებდა მას ფართო მუშურ-გლეხურ მასებთან. საბჭოთა განათლების ორგანოების ხელის შეწყობით და მფარველობით აღორძინდა ხელოვნების სხვა და სხვა დარგები: მხატვრობა, ქანდაკება, თეატრი და სხვა და ყველა ამას დაეტყო მებრძოლი მუშათა კლასის შემოქმედი ხელი, შეიღება პროლეტარული ელფერით და სახით. ხელოვნება, მრეწველობა, წიგნი შეიქნა კომუნისტური პროპაგანდის უძლიერესი გამტარებელი მშრომელი ხალხის ფართო წრეებში და ამან შექმნა ის ფოლადისებური მტკიცე ორგანიზაცია ჩვენი რიგების, რამაც ბრწყინვალე გამარჯვებამდი მიგვიყვანა ევროპიელი პოლიტიკოსების გასაოცრად.

მდგომარეობა ამ მხრივ რამდენიმედ იცვლება ე. წ. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში და ამ პოლიტიკის მთავარი აზრია პროლეტარული დიქტატურისათვის ეკონომიური ბაზის შექმნა მსოფლიო რევოლუციის მსვლელობის გარკვეული ტემპის გამო. ქვეყნის ეკონომიური მოღონიერება და სამრეწველო აღორძინება თავისთავად საუკეთესო პირობას იძლევა სულიერი კულტურის განვითარებისათვისაც და ამ მხრივ ჩვენს პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლიათ მაქსიმალურად გამოიყენონ ახალი ეკონომიური მატერიალური სარგებლობანი მუშაობის გასაძლიერებლად კულტურის სფეროში, მაგრამ ჩვენ გვინდა ყურადღება მივაპყრათ ერთს მომენტს, რომელიც თითქმის შეუნიშნავი რჩება პარტიული და საბჭოთა ფართო წრეებისათვის.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ნიადაგზე გადასვლამ დროებით სამოქმედო ასპარეზი მისცა სასიკვდილოდ განწირულ ბურჟუაზიას. მართალია, დათმობა ბურჟუაზიის მიმართ არ სცილდება ეკონომიური საქმიანობის ჩარჩოებს, სადაც „ბრძანებელი სიმაღლეები" ისევ მუშურ ხელისუფლებას უპყრია. მაგრამ კარგად ვიცით, რომ შეძლებული კლასი მუდამ მიილტვის პოლიტიკური ძალა-უფლების დასაპყრობად, ის, დამარცხებული უშუალო სამოქალაქო ომში პროლეტარიატთან, კვლავ იწყებს ჯერ [illegible], შემდეგ კი თამამად შემოტევას იდეოლოგიურ ფრონტზე და სცდილობს ფსიხოლოგიური დაშლის შეტანას გაბატონებული მოწინააღმდეგის დარაზმულ რიგებში. ბეჭდვით იწერება და უხვად ვრცელდება სახელოვნო ჟურნალები და ალმანახები, ცალკე ნაწარმოებნიც ფუტურისტულ-მოდერნისტულ სტილისა, საუნივერსიტეტო კათედრებიდანაც გაისმის ანტი-მატერიალისტური ფილოსოფიის ქადაგება. მართალია, ეს ლიტერატურა არ შეიცავს მოწოდებას არსებულ წესწყობილებას დამხობისაკენ, მაგრამ ბურჟუაზიულ სულის კვეთებას ჰყნის, განსაკუთრებით მოზარდ თაობის ნორჩ ტვინში, აცლის მას რევოლუციონურ იდეალებს და უნერგავს მეშჩანურ ფსიხოლოგიას და მიდრეკილებით. ბურჟუაზიული მწერლობა პოლიტიკური აპატიის შექმნით მიერეკება ახალგაზრდობას რეაქციის და კონტრ-რევოლუციის ბანაკში.

ეს საფრთხე სათავეშივე უნდა იქნას ჩაკლული.

ბ. ქ.

თბილისის საბჭოს არჩევნებისათვის

ინსტრუქცია

ქ. თბილისის, მისი რაიონების და თბილისის მაზრის მუშათა, წითელ არმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ხელახალი არჩევნებისათვის.

1. ქ. თბილისის, მისი რაიონების და ტფილისის მაზრის მუშათა, წითელ არმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას იღებენ ყველა მოქალაქენი, მიუხედავად სქესისა, მუდმივი ბინადრობის, ქვეშევრდომობის, ეროვნების, სარწმუნოებისა და სხვა ასეთისა მოქალაქენი, რომელთაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდათ 19 წელი.

ა) ყველა ისინი, რომელნიც თავს ირჩენენ საზოგადოებრივი-სასარგებლო შრომით, როგორც მაგ.: მუშები და მოსამსახურეები ყოველგვარ სახისა და კატეგორიისა, რომელნიც მუშაობენ სამრეწველო, სავაჭრო დაწესებულებებში, სასოფლო მეურნეობაში, შინამრეწველნი (რომელნიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან), მუშათა არტელების წევრნი, პროფკავშირთა უმუშევარი—წევრები.

ბ) წითელ არმიელები და სამხედრო მოსამსახურეები, რომელნიც იმყოფებიან საგარნიზონო სამსახურში და მუდმივ ცხოვრობენ ქ. ტფილისში მის რაიონებში და ტფილისის მაზრაში.

გ) ის მოქალაქენი, რომელნიც ეკუთვნიან ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს, რომელთაც დაჰკარგეს შრომის უნარი, დასახიჩრებული მეომრები და სხვ.

დ) იმ მუშათა ოჯახები, რომელნიც მუშაობენ წარმოებებში.

ე) უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეები.

2. ვერ აირჩევენ და არ შეუძლიათ არჩეულ იქნენ, თუნდაც ეკუთვნოდენ რომელიმე ზემოდ ჩამოთვლილ კატეგორიას:

ა) ის პირნი, რომელნიც მიმართავენ დაქირავებულ შრომას, მოგების მიზნით.

ბ) ის პირნი, რომელნიც ცხოვრობენ არა შრომითი შემოსავლით (როგორ მაგ.: კაპიტალის პროცენტებით, წარმოებათა შემოსავლით, ქონების შემოსავლით და სხვა)

გ) კერძო მოვაჭრენი და სავაჭრო-საკომერციო შუამავლები.

დ) ბერები და საეკლესიო და სარწმუნოებრივ კულტების სასულიერო მოსამსახურენი.

ე) ყოფილი მეფის პოლიციის „ოხრანის" განყოფილებათა და ჩამოგდებულ მთავრობის ყოფ. განსაკუთრებულ რაზმის მოსამსახურენი და აგენტები.

ვ) ის პირნი, რომელნიც სათანადო წესით ცნობილნი არიან სულით ავათმყოფებათ ან ჭკუაზე შეშლილნი და აგრეთვე ის პირნი, რომელნიც ვისიმე მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან.

ზ) ის პირნი, რომელიც გასამართლებულნი არიან ანგარებითი და სამარცხვინო ბოროტ მოქმედებისათვის და მიესაჯათ სასჯელი კანონით ან სასამართლოს განაჩენით.

3. ტფილისის მუშათა, წითელ არმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოში წარმომადგენლობის ნორმა შემდეგია:

ყოველ 150 ამომრჩეველზე—1 დელეგატი.

შენიშვნა: 1. თუ წარმოებაში, ფაბრიკაში, ქარხანაში, სახელოსნოში და სხვ. ამომრჩეველთა რიცხვი 150 კაცს აღემატება, მაგრამ არა ნაკლებ 75 კაცით, მაშინ ისინი ირჩევენ თბილისის საბჭოში დამატებით კიდევ ერთ დეპუტატს.

2. წარმოებები და სამხედრო ნაწილები, სადაც ამომრჩეველთა რიცხვი 150 კაცს არ აღწევს, ერთდებიან და ერთად ირჩევენ დეპუტატებს.

3. იქ, სადაც გაერთიანება მაინც არ იძლევა 150 დელეგატს (მაგ. 75, 90, 100) ამომრჩეველნი რაოდენობის მიხედვით აგზავნიან თბილისის საბჭოში ერთ წარმომადგენელს.

4. თბილისის მაზრის მცხოვრებნი აგზავნიან დელეგატებს შემდეგი ნორმით: 1000 კაცი—1 დელეგატს.

5. საბჭოთა და კერძო დაწესებულებათა მოსამსახურეებს შორის არჩევნები სწარმოებს საზოგადო კრებებზე, რომელსაც მართავენ პროფესიონალური კავშირები (მაგ. საბჭოთა მოსამსახურეების კავშირი და სხ.) წარმომადგენლობის ნორმა: 300 კაცი ირჩევს 1 დელეგატს, მაგრამ თვითეულ გაერთიანებისაგან არა უმეტეს 10 დელეგატისა.

6. მუშათა ოჯახებისათვის წარმომადგენლობის ნორმა—150 შეკრებილ წევრთაგან—1 დელეგატი.

7. უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეები ირჩევენ შემდეგი ნორმით: 300 მოსწავლე—1 დელეგატს.

შინამრეწველები—300 კაცი—1 დელეგატს.

9. უმუშევრები: წარმომადგენლობის ნორმა: მუშები 150 კაცისაგან—1 დელეგატს, მოსამსახურეები 300 1 დელეგატს.

10. ინვალიდები 300 შეკრებილი ამომრჩეველი 1 დელეგატს.

4. დეპუტატების არჩევნები სწარმოებს საზოგადო კრებებზე:

ა) მუშები, მოსამსახურეები, რკინის გზელები სამრეწველო და სავაჭრო წარმოებებში (ფაბრიკებსა, ქარხნებსა, სამრეწველოებსა, სახელოსნოებსა და სამსახურებში).

ბ) წითელ არმიელები (ბრიგადებსა, პოლკებსა, ცალკე კომანდებსა და ბატალიონებში, საბჭოს ხელახალი არჩევნების საგარნიზონო კომისიის ჩვენებით).

გ) საბჭოთა მოსამსახურენი, წვრილ მრეწველების მუშები, შინა მოსამსახურეები და სხვები სათანადო პროფკავშირების მიერ გამართულ კრებებზე.

დ) მუშათა ოჯახები—რაიონებში გამართულ საზოგადო კრებებზე.

ე) უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეები სტუდენტების საზოგადო კრებებზე.

ვ) შინამრეწველები,—ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ მოწვეულ საზოგადო კრებებზე.

ზ) უმუშევრები—სათანადო პროფკავშირების მიერ მოწვეულ კრებებზე.

თ) ინვალიდები—ინვალიდების საზოგადო კრებებზე.

5. არჩევნებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად არსდება ცენტრალური, სარაიონო, და საგარნიზონო საარჩევნო კომისიები მუშათა რაიონებისა და წითელი არმიისათვის და აგრეთვე ტფილისის მაზრის საბჭოთა ხელახალი არჩევის ცენტრალური და სარაიონო კომისიები.

6. ცენტრალური საარჩევნო კომისია შედგება 9 პირისაგან: 1 კომპარტიისაგან, 2 ტფილისის საბჭოსაგან, 1 პროფკავშირთა საბჭოსაგან, 2 არმიისაგან, 1 მემარცხენე ფედერალისტებისაგან 1 ახალგაზრდობის კომკავშირისაგან, 1 სამაზრო საბჭოსაგან:

7 დანარჩენი საარჩევნო კომისიები არსდებიან.

ა) რაიონული... სამი პირისაგან.

ბ) საგარნიზონო . ხუთი პირისაგან

გ) სამაზრო ..ხუთი პირისაგან

შენიშვნა: ქალაქი ტფილისი იყოფა 4 საარჩევნო უბნად, ტფილისის მაზრა იყოფა რაიონებად საარჩევნო კომისიის ჩვენებით.

8. ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელმძღვანელობს ყველა არჩევნებს, უშვებს ინსტრუქციებს, ნიშნავს არჩევნების ვადას და დღეს, ამტკიცებს ან უარყოფს არჩევნების წარმოებას, იხილავს განცხადებებს და პროტესტებს, იძლევა დროებით მანდატებს, ადგენს საარჩევნო კრებების ოქმების ფორმებს და არჩევნების დამთავრებისას აწვდის ყველა მასალებს საბჭოს მიერ არჩეულ სამანდატო კომისიას.

9. რაიონული, საგარნიზონო, სამაზრო და სხვ. საარჩევნო კომისიები ხელმძღვანელობას უწევენ არჩევნებს ადგილობრივ, წინასწარ არკვევენ თვითეულ წარმოებაში, სამხედრო ნაწილში, ამომრჩევლების რაოდენობას, ხელმძღვანელობენ მუშების, მოსამსახურეების და სხვ. გაერთიანებათა შეერთებულ არჩევნებისათვის, ადგენენ საარჩევნო კრებების ოქმებს და თავიანთი დასკვნებით გზავნიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

10. დეპუტატების წარჩევნები ხდება საარჩევნო კომისიის ან მისი რწმუნებულის დასწრებით.

11. დეპუტატების არჩევნები ხდება საჯაროდ საზოგადო კრებებზე—ხელის უბრალო აწევით.

12 არჩევნების შედეგების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საარჩევნო კომისიის წევრი ან მისი რწმუნებული და საარჩევნო კრების პრეზიდიუმი.

13. არჩევნების დროს მუშაობა წარმოებაში წყდება იმ შემთხვევის გარდა, თუ მუშაობის შეჩერება ტექნიკურ მოსაზრებით შეუძლებელია.

14. საარჩევნო კრება არის კანონიერი და სრულუფლებიანი, თუ მასზე მონაწილეობას ღებულობს ამომრჩევლების საერთო რაოდენობის არა ნაკლები ორი მესამედისა.

15. თუ დაწესებული ქვორუმი არ შესდგება, მოწვეული იქნება განმეორებითი კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად.

16. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შედიან ამხანაგები: 1. ივანოვ-კავკასკი—თავმჯდომარე, 2 ყურულაშვილი, 3. რუბენი, 4. ბურჯანაძე, 5 კაჩელინი, 6 მარკაროვი, 7. ჯანელიძე, 8. ადამიანი, 9 ამილობელი.

17 სამაზრო საარჩევნო კომისიაში შედიან ამხანაგები: 1. მესხი 2. ადამიძე, 3. ფიალკოვსკი, 4. ჯაფარიძე, 5. ადამია

18. საგარნიზონო საარჩევნო კომისიაში შედიან ამხ. ამხ. 1. მარკაროვი, 2 კაჩელინი, 3 ბაიკოვი, 4. სერებრიაკოვი, 5 ზ. ბაიანი.

19 პირველ რაიონულ საარჩევნო კომისიაში შედიან ამხ. ამხ.: 1. მორჩილაძე—თავმჯდომარე, 2. ქუთარაძე, 3. გოლდბაუმი.

20 მეორე რაიონულ საარჩევნო კომისიაში შედიან ამხ. ამხ.: 1. მასხულია—თავმჯდომარე, 2. ბოჭორიშვილი, 3. აკოპოვი.

21. მესამე რაიონულ საარჩევნო კომისიაში შედიან ამხ. ამხ.: 1. ვართაპეტოვი—თავმჯდომარე, 2. ალიტადი ზადე, 3. ხუჩუა.

22. მეორე რაიონულ საარჩევნო კომისიაში შედიან ამხ. ამხ.: 1. [illegible]ხაძე—თავმჯდომარე, 2. გეიდენი, 3. რუბენი.

ცენტრალური საარჩევნო კომისია დროებით მოთავსებულია ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის შენობაში.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე:
ლ. დუმბაძე.

სამაზრო საბჭოს თავმჯდომარე:
ლ. ხუხაშვილი.

ტფილისის სამაზრო აღმასკომის მიწადმოქმედების განყოფილების მუშაობა

საზეითლო ქვეგანყოფილება.

საზეითლო ქვე განყოფილებამ შესძლო საკმაოდ შეესრულებია დასახული მუშაობის გეგმა. პირველადვე საჭირო შეიქნა გადალახვა უმთავრესად გლეხობის ცრუმორწმუნოების და უნდობლობის, რომლითაც ის ეპყრობოდა დარიგებებს მსხვილ-ფეხა საქონლის ეპიდემიასთან ბრძოლის შესახებ. მაგრამ ხანგრძლივი და თავგამოდებული ბრძოლით შესაძლებელი შეიქნა თვით გლეხების ჩაბმა ამ საქმეში და მუშაობის მტკიცე საფუძველზე დაყენება. ბრძოლა სწარმოებდა უმთავრესად ციმბირის ჭირის და პირაპლაზმის წინააღმდეგ. იმ რაიონებში, სადაც გლეხობა დახმარებას უწევდა საზეითლო ქვე-განყოფილებას შესაძლებელი გახდა მსხვილფეხა საქონლის აცრებით გადარჩენა. ზოგიერთ რაიონებში დაიღუპა დაახლოებით 1000 სული საქონელი.

მაგრამ არის იმედი, რომ მომავალში გლეხობა უფრო ყურადღებით მოეპყრობა საზეითლო ქვე განყოფილების მიზნებს და მაშინ შესაძლებელი იქნება ეპიდემიასთან ბრძოლის უფრო ინტენსიურად წარმოება.

აგრონომიული ქვე-განყოფილება.

საშუალებათა სიმცირის გამო შეუძლებელი იყო მცხოვრებთათვის აგრონომიული დახმარების გაფართოება და დასახული გეგმის შესრულება. მიღებული იყო ყოველივე ზომები იმისათვის, რათა საკმაო დახმარება მისცემოდა გლეხობას სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში, როგორც ლექციების, საუბრების და დარიგებების, ისე სასოფლო მეურნეობის მანქანების და სათესი მასალების მიწოდების გზით.

აგრონომიულ ქვე-განყოფილების განკარგულებაში იმყოფება 2 სანერგე, სართიჭალის რაიონში. სართიჭალის სანერგეში დამზადებულია გასასყიდათ დაახლოვებით 1000 ცალი ევროპიულ ნერგზე დამყნილი ვაზი, გაზაფხულზე მზად იქნება 1500 ცალი ამერიკულ ნერგზე დამყნილი ვაზი.

სახელმწიფო მამულების მეტი ნაწილი, რომელსაც არ ჰქონდა კულტურული ხასიათი, მიეცა იჯარით კერძო პირებს, რათა მათ მოეყვანათ ეს ადგილები სათანადო მდგომარეობაში.

ყველა კონფლიქტები ამა თუ იმ საკითხების შესახებ ირჩეოდა მიწადმოქმედების განყოფილებასთან არსებულ საგანგებო კომისიაში. შემოსულ 100 საქმიდან განხილულია 84, ცენტრალურ კომისიაში გასაჩივრებული იყო 10 საქმე.

რადიო-დეპეშები

საბჭოთა სოც. რესპუბლიკების ცაკის სესია

მოსკოვი. 4 იანვარი. 2 იანვარს შედგა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ცაკის პირველი სესია.

ცაკის თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნა ამხ. კალინინი, პეტროვსკი, ნარიმანოვი და ჩერვიაკოვი, მდივნათ—ენუქიძე.

ცაკის პრეზიდიუმში შედიან: კალინინი, სტალინი, კამენევი, რაკოვსკი, ცურიუპა, ტომსკი, საპრონოვი, ენუქიძე, კურსკი, რუდზუტაკი, სმიდოვიჩი, პეტროვსკი, რაკოვსკი, მანუილსკი, ნარიმანოვი, მიასნიკოვი, მდივანი, ჩერვიაკოვი, კანდიდატებათ—იაკოვენკო, ანდრეევი, სმირნოვი, როგოვი, პოზერნი, ხადირ ალიევი, სოკოლნიკოვი, ნოგინი, ავანესოვი, პიატაკოვი, ზატონსკი, კლიმანსკი და ტერ-გაბრიელიანი.

ლოზანის კონფერენცია

რუსეთი და რუმინეთი.

მოსკოვი. 4 იანვარი. რუმინეთის პრესაში მოთავსებულია ცნობები, ლოზანის კონფერენციაზე რუსეთის და რუმინეთის დელეგატთა შორის დაწყებულ მოლაპარაკებათა შესახებ.

რუსეთის მემორანდუმი

მოსკოვი. 4 იანვარი. 31 დეკემბერს რუსეთის დელეგაციამ ჩააბარა მოკავშირეთა დელეგაციებს მემორანდუმი, რომელშიაც ხელახალ პროტესტს აცხადებს რუსეთის კონფერენციის მთელ მუშაობაზე დაუშვებლობის გამო.

მემორანდუმში აღნიშნულია, რომ კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთში შეწყდებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც იმპერიალისტური სახელმწიფოები მუსულმანთა ხალხებს არ შეხედავენ როგორც დაბალ რასას.

ოსმალეთი უნდა ცნობილ იქნას, როგორც ბატონ პატრონი თავის ფინანსიურ, ეკონომიურ და სასამართლოთა დაწესებულებებისა.

ყოველივე დათმობა, რომელსაც დაატყუებენ ოსმალეთს სახელმწიფოთა ძალდატანებით მოკლებული ექნება იურიდიულ და მორალურ ძალას.

ოსმალეთის საზღვრები უნდა დაწესდეს ნაციონალური ხელშეკრულების თანახმად; დასავლეთ ფრაკიის საკითხი უნდა გაირჩეს სპეციალურ კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულ იქნება ნაციონალურ და რელიგიურ უმცირესობათა მდგომარეობის განსახილველად. ერთად ერთი საშუალება, ბალკანებში და ბალკანეთ ნახევარ კუნძულზე მშვიდობიანობის დასამყარებლად, არის გაერთიანება ყველა ბალკანეთის ხალხებისა ერთ კავშირში.

რუსეთის დელეგაცია აღნიშნავს, რომ მემორანდუმი წარედგინება სხვათა დელეგაციებს გასარჩევად, და [illegible] ხალხებისათვის.

რუსეთის მემორანდუმმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალეთის და სხვა მუსულმანთა წრეებში.

კონფერენციის მუშაობა.

მოსკოვი. 4 იანვარი. ლოზანის კონფერენციის მუშაობა თითქმის შეჩერდა, ვინაიდან მთელი ყურადღება მიქცეულია იქით თუ რას იტყვის პარიზის კონფერენცია რეპარაციის საკითხების შესახებ.

სომხების ეროვნული კერა.

მოსკოვი. 4 იანვარი. უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის 31 დეკემბრის სხდომაზე გამოქვეყნებული იქნა ამერიკის წინადადება კილიკიაში სომხებისთვის ეროვნული კერის დაარსების შესახებ ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ ოსმალეთის დელეგაციამ კატეგორიულათ უარყო ამ საკითხის განხილვა და განაცხადა, რომ ის თვლის ამერიკელებს კონფერენციაზე, როგორც უბრალო მეთვალყურეებს.

საკითხი მოსულის შესახებ.

მოსკოვი. 4 იანვარი. მოსულის შესახებ ინგლისის მეორე მემორანდუმზე ოსმალებმა, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ მოსულის მათზე გადაცემას, განაცხადეს, რომ ისინი თანახმა არიან განიხილონ ეს საკითხი ინგლისის ექსპერტებთან ერთად. როგორც ხმები დადის, არსდება შერეული ინგლის-ოსმალური საზოგადოება მოსულის ნავთის წარმოების ექსპლოატაციისათვის.

ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების გადაწყვეტილება.

მ.ნოვერი. 4 იანვარი. სტამბოლიდან რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაადგინა დაიცვას ლოზანის კონფერენციაზე ოსმალეთის ყველა ეროვნული მოთხოვნილებები და სუვერენიტეტული საზავო ხელშეკრულებები და დადებს იმ სახელმწიფოებთან, რომელნიც თანხმობას განაცხადებენ ამაზე.

ბრძოლა მოსულის ნავთისათვის

ბერლინი. „როტ-ფანე“ იძლევა დაწვრილებით ცნობებს მოსულის ნავთის ადგილის სათვის ბრძოლის შესახებ. გაზეთების გადმოცემით, ისმეტ ფაშამ განაცხადა, რომ ოსმალეთის მთავრობა [illegible] მოსულის ნავთის ადგილების ამერიკაზე კონცესიის გადაცემისა. ინგლისი თანხმობა მოსულის ოსმალეთისთვის დაბრუნების იმ პირობით, თუ ყველა კონცესიები გადაეცემა მხოლოდ ინგლისს. ისმეტ ფაშამ უარყო ეს წინადადება იმ სთვის, რომ ის ამჯობინებს მოსულის ოსმალეთზე გადაცემას ყოველგვარ „პირობების“ გარეშე. გაზეთი აზრით, თუ მოსული გადაეცემა ოსმალეთს, იმ შემთხვევაში, ინგლისი ჰკარგავს თავის მონოპოლიას მოსულში და ამ [illegible] ბრიტანეთის [illegible]. [illegible] ხმები დადის, რომ ინგლისს, საფრანგეთსა და ამერიკას შორის მოხდა შეთანხმება, რომლის ძალითაც მოსულის ყველა ნავთის კონცესიები თანაბრ[ად] განაწილებულ უნდა იქნას ამ ქვეყნებ შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში მოსული გადაეცემა ოსმალეთს.

პარიზის თათბირი

თათბირის გახსნა

მ.ნოვერი 4 იანვარი. 2 იანვარს სრულ დღის 2 საათზე გაიხსნა პარიზის თათბირი. ამერიკის მიერ ვერ [illegible] თათბირზე არ [illegible]. თათბირი გახსნა პუანკარემ, რომელმაც განაცხადა, რომ გერმანიის სტატს სეკრეტარი ბერგმანი თათბირის დაწყებამდე მოუსმინონ მას. შემდეგ მოსმენილ იქნა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის პროექტები. სხდომა გაგრძელდა 2 ნახ საათი და შემდეგ თათბირი გადაიდო მეორე დღის საღამოს თათბირამდე, რათა ცალკე დელეგაციებს შეეძლოთ გაეცნონ წარმოდგენილ კანონ-პროექტებს.

მოსკოვი 4 იანვარი. სარეპარაციო პროექტთან ერთად ბონარ ლოუმ პარიზის კონფერენციაზე შეიტანა ურთიერთ საკავშირო ვალების ლიკვიდაციის პროექტი, რომლის ძალითაც საფრანგეთა მიერ მიღებული გერმანიის ბონების პირველი სერიები საფრანგეთის ვალების ანგარიშში უნდა გადაეცეს ინგლისს იმავე გადასახდთა ნაწილი გამოყენებულ იქნება აგრეთვე ევროპის ვალების ამერიკაზე გადაცემის მიზნით.

ინგლისის პროექტი.

მ.ნოვერი. 4 იანვარი. პარიზის თათბირის პირველი სხდომის შემდეგ ბონარ ლოუმ ინგლისის პრესის წარმომადგენლებს გადასცა კანონ პროექტი და მისცა მას შესახებ ზოგიერთი განმარტებები. პროექტი ეყრდნობა გერმანიის კრედიტის აღდგენას, რაც აუცილებელი პირობაა საკონტრიბუციო საკითხის ყოველგვარ გადაწყვეტისათვის პროექტი წინადადებას იძლევა დაწესებულ იქნეს გერმანიის ვალების [illegible] რაოდენობა და მიეცეს გერმანიას 4 წლის მორატორიუმი, ყოველგვარი გარანტიების გარეშე, იმ მოსაზრებით, რომ უკანასკნელს შეუძლია მხოლოდ უარყოფითი შედეგების მოცემა, და რომ საკონტრიბუციო საკითხი არის მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური საკითხი და ის არ უნდა იქნეს დაკავშირებული პოლიტიკურ საკითხებთან. გერმანიის მიერ თავის ვალდებულებათა შესრულებისათვის თვალყურის სადევნებლად, პროექტის თანახმად არის უნდა იქნეს საკონტროლო კომიტეტი, ნეიტრალური სახელმწიფოების და გერმანიის მონაწილეობით და გერმანიის ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით. პროექტის პრესის წარმომადგენლებისათვის გადაცემის დროს ბონარ ლოუმ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია განზრახ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, [illegible] საფრანგეთთან ერთად მოისურვებს სანქციების შემოღებას.

იტალიის პროექტი.

რომი. 4 იანვარი. პარიზის თათბირის გახსნის შემდეგ იტალიის დელეგატმა დელლა ტორრეტამ წარუდგინა თათბირს მოკლედ ის პროექტი და დაუმატა, რომ ამ პროექტში არ არის არავითარი სხვაობა, ცვლილება, და საზოგადოთ თავისებური რამ, გარდა იმისა, რომ მელიც წარუდგინა იტალიამ ლონდონის თათბირს.

საფრანგეთის პროექტი.

მორიდთ 4 იანვარი. პარიზის თათბირზე პუანკარეს მიერ წარდგენილი საფრანგეთის პროექტი გულისხმობს მთელ რიგ გარანტიებს: 1) ნახშირის და ტყის მოწოდების სრული პროგრამის შესრულება. 2) გერმანიისათვის ზოგიერთი საექსპორტო შემოსავლის ჩამორთმევა, 3) გერმანიისათვის ექსპორტის და ნახშირის დაბეგვრის უფლების ჩამორთმევა, 4) გარანტიების მთელი ჯამი უნდა უდრიდეს 1 მილიონ ოქროს მარკას. პუანკარემ დაუმატა რომ საფრანგეთის მიერ წარმოდგენილი ეკონომიური ხასიათის გარანტიები არ გამოიწვევს არავითარ სამხედრო ზომებს, თუ ყველა მოკავშირეები დათანხმდებიან მის მიღებაზე; თუ საფრანგეთი იძულებული იქნება მარტოდ იმოქმედოს, იმ შემთხვევაში სათანადო სამხედრო ოკუპაცია აუცილებელი გახდება და, თუ გერმანია არ მოისურვებს აღნიშნული პროგრამის შესრულებას, ავტომატიურად, გერმანიის უარის შემდეგ, მიღებულ იქნება შემდეგი ზომები: 1) ესსენის და ბოხუმის რაიონის და მთელი რურის ოლქის სამხედრო ოკუპაცია მარშალ ფოშის მიერ შემუშავებულ გეგმის თანახმად, 2) ოკუპირებულ ოლქებში გერმანიის ჩამორთმევა საბაჟოები და 3) ვერსალის ხელშეკრულების სხვა მუხლების შეუსრულებლობა გამოიწვევს ზემოდ აღნიშნულ დაკავებულ რაიონების ოკუპაციის გადიდებას.

მ.ნოვერი. 4 იანვ. ცნობები გერმანიის თხოვნის შესახებ—მოუსმინონ მას თათბირის გახსნამდე, სხვადასხვანაირია—ერთი ვერსიით, ამის შესახებ თათბირს ჯერჯერობით არავითარი დადგენილება არ გამოუტანია, მეორე ვერსიით,—თათბირმა ერთხმად დაადგინა უარყოს გერმანიის სტატსსეკრეტარის თხოვნა, რათა მას მოუსმინონ, და ბოლოს მესამე ვერსიით,—გერმანიის სტატსსეკრეტარი ბერგმანი წერილობითი განცხადების შემდეგ, მოწვეული იქნება ამომწურავი ზეპირი ახსნა-განმარტების მისაცემად.

საფრანგეთის ოფიციალური ცნობა.

რომი, 4 იანვარი. საფრანგეთის ოფიციალური ცნობით პირველ სხდომაზე წამოყენებულმა ინგლისის წინადადებამ დიდი გაკვირვება გამოიწვია თათბირის წრეებში და აგრეთვე იმედების გაცრუება საფრანგეთის და ბელგიის დელეგატებში. საფრანგეთის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ საფრანგეთის მთავრობა, ალბად, არ მიიღებს ინგლისის წინადადებას და თუ საფრანგეთი ვერ დაარწმუნებს მას გარანტიების აუცილებლობაში, იგი იძულებული იქნება დამოუკიდებლად იმოქმედოს და მიიღოს ზომები, რათა მის უფლებებს მიეპყრონ პატივისცემით.

შინაურ და გარეშე ვალების ქვეშ.

მორიდთ 4 იანვ. პარიზის თათბირზე პუანკარემ ინგლისის გეგმის კრიტიკის ქარცეცხლში გატარების დროს სთქვა, რომ გერმანია, რომელსაც აქვს მცირე შინაური ვალები და რომელიც ბანკროტად არის გამოცხადებული მხოლოდ საკონტრიბუციო ვალების მიმართ, ინგლისის წინადადების მიღების დროს, იქნება უპირატეს მდგომარეობაში სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, რომელნიც წელში ხრებიან შინაო და გარეშე ვალების ქვეშ.

გერმანიის ამბები

რურის ოლქი.

მოსკოვი 4 იანვ. რურის ოლქის [illegible] მეორე კონფერენციამ აპროტესტო რეზოლუცია მიიღო საფრანგეთის მიერ რურის ოლქში ეკონომიური ინტერვენციის წინააღდეგ.

გერმანიის მუშებს შორის.

მოსკოვი 4 იანვარი. ყველა გერმანიის პროფესიონალური კავშირების გაერთიანებებმა მიმართეს კუნოს და მიუთითეს მუშების მდგომარეობის დაუსრულებელ გაუარესებაზე. პროფესიონალურ კავშირების გაერთიანების წარმომადგენლობა შეეკითხა კუნოს თუ ვის დაეცემა მთავრობის მიერ მთელი სარეპარაციო გადასახადების სიმძიმე კუნომ უარი განაცხადა ამ შეკითხვის პასუხის მიცემაზე.

გერმანიის რკინის გზელთა შორის.

მოსკოვი. 4 იანვარი. ესსენის, ელბერფელდის, კელნის, კასსელის, ჰანოვერის და მიუნსტერის რკინის გზელთა კონფერენციამ საპროტესტო დადგენილება გამოიტანა სამუშაო ხელფასის მომატებაზე მთავრობის უარის გამო რკინის გზელთა შორის იზრდება ძლიერი განწყობილება გაფიცვის სასარგებლოდ.

პოლონეთის ამბები

ნარუტოვიჩის მოკვლის გამო.

მოსკოვი 4 იანვარი, ნარუტოვიჩის მკვლელის ნევიადომსკის მეუღლის ჯიბეში [illegible]

დოლარებისათვის.

კრაკოვი 4 იანვ. ადგილობრივი ორგანოს „[illegible]“-ის ცნობით [illegible] ამერიკაში. მისი გამგზავრების მიზანია მიიღოს ფულით დახმარება ამერიკელ სოციალისტებისაგან, რომელნიც თანაგრძნობენ პოლონეთის სოციალისტურ პარტიას.

რკინის გზელების მოთხოვნილება

კრაკოვი. 4 იანვ. პროფესიონალური კავშირების მიერ მოწვეულ რკინის გზელების კრებაზე დადგენილ იქნა ჯამაგირის 100 პროც. მომატების მოთხოვნა. მოთხოვნილებაში ნათქვამია, რომ ასეთივე მომატება უნდა გატარდეს პენსიონერების, ქვრივების და ობლების მიმართ.

მდგომარეობა იტალიაში

[illegible]

ბერლინი. „როტე-ფანე“-ს გადმოცემით, მიუხედავათ ფაშისტების ტერორისა, იტალიის კომუნისტური პარტია მედგრად განაგრძობს თავის მოღვაწეობას.

აი მაგალითად, ტურინის კომუნისტური გაზეთი „ორდინე ნუოვო“, რომელიც გამოდის არალეგალურად და არა ყოველდღიურად, უშიშრად განაგრძობს ფაშიზმთან ბრძოლას, მიუხედავათ იმისა, რომ ფაშისტებმა არა ერთხელ მოახდინეს არალეგალური ტიპოგრაფიის კონფისკაცია; მეორე დღეს გაზეთი მაინც გამოდის შემცირებული ფორმატით. ტურინის მუშათა კავშირებმა საზოგადო კრებაზე დაადგინეს ყოველგვარი საშუალებით განაგრძონ კლასობრივი ბრძოლა; კომუნისტური ორგანიზაცია კი მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით აძლიერებს თავის მოღვაწეობას უმუშევართა შორის. როგორც ფიქრობს „ორდინე ნუოვო“, ტურინის პროლეტარიატი, რომელიც წინააღმდეგია ფაშისტურ ტერორის და სოციალ-დემოკრატიის მოღალატეობის მომავალ არჩევნებში აირჩევს მხოლოდ კომუნისტებს.

არეულობა გვარდიაში

მოსკოვი. 4 იანვარი. მეფის გვარდიის შორის ტურინში, ნეაპოლში და იტალიის სხვა ქალაქებში, მთავრობის განზრახვისათვის გვარდიის დაშლისა და მის ფაშისტურ მილიციით შეცვლის გამო, იფეთქა არეულობამ.

იტალიის მუშათა პარტიაში

მოსკოვი. 4 იანვარი. ავსტრალიის პარლამენტის არჩევნებში მუშათა პარტიამ მიიღო უმრავლესობა 30 ადგილი, ყოფილ 24-ს მაგივრად, ნაციონალისტებმა მიიღეს 24 ადგილი —38 ს ნაცვლად, ნაციონალ-ლიბერალებმა—17 ადგილი.

ფაშიზმი

ბრძოლა ფაშიზმთან.

მოსკოვი. 4 იანვ შტუტგარდტში შესდგა რეიხსტაგის და პრუსიის ლანდტაგის კომუნისტ-დეპუტატების კონფერენცია, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი ფაშიზმთან ბრძოლის შესახებ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლუცია ფაშიზმის წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლის საწარმოებლათ.

თეთრი ტერორი რუმინეთში

4 იანვარი. „როტე ფანე“ იუწყება, რომ არადში მომხდარმა უკანასკნელმა გაფიცვამ, ბურჟუაზიის მხრივ გამოიწვია მთელი რიგი სასტიკ რეპრესიებისა. ასობით მუშები ჩამწყვდეულნი ციხეებში, რომლებშიაც ჩვეულებრივ ამწყვდევდნენ დიდ ბოროტმოქმედებს და რეციდივისტებს. კარცერებს აქვს 2 მეტრი სიგრძე-სიგანე, სინათლე შედის ჭერში გაკეთებული პატარა ჭუჭრუტანიდან. ზოგიერთ კამერებში ეს ჭუჭრუტანაც შავად შეღებილია. ამგვარად ტუსაღები მყოფებიან სრულ სიბნელეში. დატუსაღებული ტიტე მამია და ამხ. ოლც ნუ, საშინელი მოპყრობის გამო, შესაბრალის მდგომარეობაში არიან და შეიძლება ჭკუაც დაჰკარგონ. დაპატიმრებულების მორალურად და ფიზიკურად ჩასახშობად ამ ციხეებში მიმართავენ საშუალო საუკუნოების საინკვიზიციო საშუალებებს. საჭმელი ყოველთვის ერთი და იგივეა და სრულიად უვარგისი. თითქმის ყველა პატიმრები ამ საჭმელს ვერ სჭამენ. ათავებს რა შენიშვნას გაზეთი სწერს: სოციალდემოკრატიის ყურადღება უნდა მიექცია ამ მდგომარეობისათვის. პროლეტარიატმა უნდა აიძულოს თავისი ბელადები გამოვიდნენ რუმინეთში არსებულ ამგვარ ციხის რეჟიმის წინააღმდეგ.

სხვადასხვა ამბები

უმუშევრობა ინგლისში.

მოსკოვი. 4 იანვარი. ლონდონში უმუშევართა ბრბო შეეცადა ყველაზე უფრო დიდი რესტორანის განადგურებას ლეისტერის უბანში დატუსაღებულია რამოდენიმე კაცი.

— „მანჩესტერ გარდიენის“ ცნობით, ლონდონში უმუშევრები აუტანელ პირობებში იმყოფებიან, ბინის უქონლობის გამო, ვინაიდან ყველა მუშათა სახლები ავსილია. უმუშევრები არ ბრუნდებიან თავიანთ სოფლებში, მიუხედავად მზრუნველთა დაპირებისა უფასო მგზავრობის შესახებ.

— 4 იანვ. უმუშევართა რაოდენობა ინგლისში დღითი დღე იზრდება. ინგლისის მთავრობა ცდილობს გამონახოს საშუალება უმუშევრობის ზრდის შესაჩერებლად. ბონარ-ლოუს ჰქონდა მოლაპარაკება რკინის გზის მსხვილი კომპანიის დირექტორებთან, რომელთანაც ერთად განიხილა უმუშევრობის საწინააღმდეგო სხვადასხვა პროექტი. განზრახულია სამუშაოების მოწყობა, რასაც მოუნდება 50—70 მილ. გირ. სტერლინგი.

რეპრესიები ირლანდიაში.

4 იანვარი. ირლანდიის პრემიერმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში მოხდება ირლანდიის აჯანყების მონაწილეთა სიკვდილით დასჯა. მთავრობას ხელში ჩაუვარდა აჯანყებულთა მრავალი ხელმძღვანელი, მათ რიცხვში რევოლიუციონერი მედილეი.

ლატვია და რუსეთი.

მოსკოვი. 4 იანვარი. ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა კაბინეტს რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების განსახილველ სპეციალურ კომისიის შედგენის შესახებ.

მთლიანი ფრონტი.

მოსკოვი. 4 იანვარი. ავსტრიის დამოუკიდებელ პროფკავშირებსა, სამხრეთ სლავიის სოციალ-დემოკრატიულ ცენტრალურ მუშათა კავშირისა და კროატსკის მუშათა კავშირს შორის სწარმოებს მოლაპარაკება მთლიანი მუშათა ფრონტის შექმნის შესახებ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

პეტროგრადის საბჭოს მოწოდება.

მოსკოვი 4 იანვარი. პეტროგრადის საბჭომ 31 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა მიმართოს მსოფლიოს მუშებს, კომინტერნს, რუსეთის კომუნისტურ პარტიას და წითელ არმიას სახელწოდებით მისალმებით და სურვილით, რომ 1923 წ. გახდეს მსოფლიო რევოლუციის წელიწადი.

სასურსათო ბირჟა.

მოსკოვი 4 იანვარი პეტროგრადში ეწყობა სასურსათო ბირჟა.

ხე-ტყის მასალის გატანა გერმანიაში.

მოსკოვი. 4 იანვარს. პეტროგრადში ჩამოვიდნენ გერმანიის ტყის მრეწველობის წარმომადგენლნი გერმანიაში ხე-ტყის მასალის გატანის შესახებ მოსალაპარაკებლად.

ინვალიდების დახმარების კვირა.

მოსკოვი. 4 იანვარს. 2 იანვარს პეტროგრადში დაიწყო ომის ინვალიდების დახმარების კვირა.

ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის შობა.

მოსკოვი. 4 იანვარი. უფაში, ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი, პროფესიონალური და პარტიული ორგანოები აწყობენ ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის შობას. გაიმართება მასიური პროცესია.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

ახალციხე.

ბრძოლა ბანდიტიზმთან. ამ ბოლო ხანებში აბასთუმნის და ბორჯომ-ახალციხის გზატკეცილზე შემჩნეულია მგზავრების გაძარცვა. განსაკუთრებით დიდი ზიანი მოსდით ვაჭრებს, რომლებიც იძულებულნი არიან ბათომში და ტფილისში გადასაგზავნი ფული ბორჯომში ჩამოიტანონ. უკვე სამჯერ ჰქონდა ადგილი გაძარცვას და გაძარცულთა თქმით ყაჩაღების მიერ წაღებულია მილიარდზე მეტი ქართული ბონებით. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა მიიღეს სათანადო ზომები, ძარცვა-გლეჯის აღმოფხვრა მაინც ვერ მოხერხდა. უფრო წარმატებით სწარმოებს ბანდიტიზმთან ბრძოლა აბასტუმნის გზატკეცილზე. კავროსტას კორესპოდენტთან საუბრის დროს ადგილობრივი პოლიტბიუროს თავმჯდომარე ამხ. ჯალაღანია შეეხო ს. ჩისელში ცნობილ ბანდიტის ყიზარ აირაფას ოღლ-ს წინააღმდეგ გაგზავნილ უკანასკნელ ექსპედიციას. ყიზარ-ოღლი დიდი ხანია რაც ყაჩაღობდა და ყავდა ბანდა რამდენიმე ათი კაცისაგან შემდგარი. ამ ჟამად ეს ბანდა უკვე აღარ არსებობს; ის გაფანტულია და ნაწილი დატუსაღებულია თვით ყიზარ ოღლი რამოდენიმეჯერ იქნა მძიმედ დაჭრილი, მაგრამ ყოველთვის მოასწრო გაქცევა. მისი სამი უმთავრესი თანამონაწილენი დატუსაღებულია. ამხ. ჯალაღანია იმედოვნებს ყიზარ-ოღლის სულ მოკლე ხანში დატუსაღებასაც.

პარტიული ცხოვრება.

ანგარიში.

ტყიბულის რაიუჯრედის მუშაობისა ა. წ. დეკემბრის თვის განმავლობაში.

(წერილი ტყიბულიდან).

უჯრედში.

ჩვენს უჯრედში თვის დასაწყისში ირიცხებოდა 13 წევრი. უჯრედში უთანხმოებას და სხვა ამ გვარ რაიმეს ადგილი არა აქვს. დაჩქარებით გამოსარკვევია ყოფილი კანდიდატების საქმე, რომლებიც მექანიკურად იქნენ გაწმენდის დროს გამორიცხული პარტიიდან. ისინი კვლავ ჩვეულებრივად მეცადინეობენ წრეებში, მათ კრებებს სისტემატიურად ვიწვევთ, ეწევიან სამხედრო მეცადინეობას და სხვა. თუ ისინი არ იქნებიან აღდგენილნი პარტიის კანდიდატებად, ჩვენ არ ვიცით რა უწოდოთ ამ წევრებს. სასურველია ზოგიერთი მათგანის მაინც აღდგენა. ეს ყოფილი კანდიდატები დღეს ჩარიცხულნი გვყავს წრეებში; ასეთი წრე გვაქვს [illegible] ოთხი და მათში ირიცხება 49 ამხანაგი. უკანასკნელად პარტკომის გაუქმების გამო ავირჩიეთ რაიუჯრედის ბიურო, რომელიც უხელმძღვანელებს როგორც ამ უჯრედს, ისე საერთოდ პარტიულ და საბჭოთა მუშაობას რაიონის ფარგლებში. რაიონულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირი გვაქვს. გვაქვს სამეცადინო წრე, სადაც გავდივართ პოლიტიკურ ეკონომიას და აგრეთვე ვარჩევთ სხვა და სხვა დღიურ წესრიგში წამოჭრილ მნიშვნელოვან კითხვებს, რომელზედაც შემდეგ ჩვენ გვიხდება მოხსენებების გაკეთება პარტიულ და უპარტიო კრებებზე. ამ თვეში ამ წრეს ჰქონდა მეცადინეობა მხოლოდ ერთხელ, სადაც გავლილ იქნა პოლიტიკურ ეკონომიიდან „სამრეწველო კაპიტალიზმი“ს ნაწილი. ამ თვეში გვქონდა კომუჯრედის და დამხმარე უჯრედის წევრთა გაერთიანებული კრება 4, კომუჯრედის სხდომა 1, უჯრედის ღია კრება 3, მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება 2 და ახ. კომკავშირთან გაერთიანებული—2. უჯრედში გავდივართ პოლიტიკურ ანბანს, კეთდება მოხსენებები სხვა და სხვა თემებზე და ირჩევა მიმდინარე კითხვები. უჯრედის საჯარო კრებებზე კეთდება მოხსენებები დღიურ წესრიგში წამოჭრილ მნიშვნელოვან კითხვებზე.

სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა.

ამიერ კავკასიის პირველ საბჭოთა ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ ფართო პარტიულ და უპარტიო მასაში გაკეთდა მოხსენებები ყრილობის შედეგებზე. ასეთი მოხსენებები გაკეთდა უჯრედის სხდომაზე, კომკავშირთან გაერთიანებულ და ღია კრებაზე, ტყიბულის რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა და ტყიბულის მაღაროების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, უჯრედის ღია კრებაზე გაკეთდა აგრეთვე მოხსენებები ამიერ კავკასიის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.

რაიონში არსებობს 6 სამკითხველო; 2—სამაზრო პოლიტპროსვეტის ხარჯზე და დანარჩენი ოთხი—ადგილობრივ ხარჯზე. საჭიროა მიექცეს ყურადღება გაზეთების თავ-თავის დროზე და სისტემატიურად მოწოდებას საჭიროა აგრეთვე ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული წიგნების შეძენა ამ სამკითხველოებისთვის.

ნოემბრიდან მაღაროებში არსებობს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო შკოლა ორ ჯგუფისაგან შემდგარი. პირველ ჯგუფში მუშა მოსამსახურენი 20 წლამდე და მეორეში ოცზე მეტით. თითეულ ჯგუფში ორ ორი საფეხური, პირველი—წერა-კითხვის სრულებით უცოდინართათვის და მეორე-ცოტა მცოდნეთათვის.

ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება საბჭოთა მე-Xთე ყრილობაზე სახალხო განათლების შესახებ

სკოლის უმწეო მდგომარეობა.

„სახალხო განათლების კომისარიატი“, ამბობს ლუნაჩარსკი,—პირველად აქცევს მოხსენებას თავის მოღვაწეობის შესახებ. საჭირო იქნება ამიტომ გამოვყოთ უმთავრესად მატერიალური მხარე, ვინაიდან, რის გაკეთებაა საჭირო იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ სახალხო განათლების კატასტროფა, რომ მას შეუქმნათ მატერიალური ბაზა. ჩვენ არა გვაქვს საშუალება ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ როგორი არის დაყენებული საქმე პედაგოგიური [illegible] მხრივ, როგორი მდგომარეობაა პოლიტიკური საკითხის, რამდენადაც მას კავშირი აქვს სკოლასთან და სხვა. ამიტომ რომ მანამ, სანამ შკოლა ლატაკია, სანამ იგი მშიერია, ზედმეტია ფიქრიც კი იმაზე თუ როგორია ჩვენი თეორეტიული შეხედულება მასზე [illegible] სკოლის თეორიის და პრაქტიკის დარგში, თუ ჩვენ ხელში იქნება ის შესაძლებლობანი, რაც [illegible] ევროპის ბურჟუაზიულ შკოლებს მიეპოვება, თუ ჩვენი შკოლების [illegible] არ გვექნება [illegible].

შეუძლებელია შკოლის აშენება ამისათვის.

[illegible] სახალხო განათლების საქმე [illegible] 1921 წლამდე 82.397 პირველდაწყებითი შკოლა 6.850.000 მოწაფეებით. თუ ჩვენ შევადარებთ ამას ომამდე არსებულ შკოლების მდგომარეობას, მივიღებთ შემდეგ ციფრებს: 1894 1911 წ.—შკოლების რიცხვი იზრდებოდა ყოველწლიურად 1600 შკოლით, ხოლო რევოლიუციის დროს 916 შკოლით. რევოლიუციის ხანაში შკოლამ იმდენად მიიღო ბავშვთა დიდრობითი სქესი, როგორც არასოდეს. სასკოლო ჰასაკამდე სწავლების საქმე, რომელიც ჩვენ არაფრისაგან მოვაწყვეთ გავრცელდა 200.000-ზე მეტ ბავშვზე.

მეორე საფეხურის შკოლები გაცილებით ნელა იზრდებოდენ და [illegible]

ამხ. ლუნაჩარსკი

რიცხვი უდრიდა დაახლოვებით ომამდე არსებულ რაოდენობას. შკოლების ასეთი გაძლიერებული ზრდა გამოწვეული იყო პირველყოვლისა მოსახლეობის დიდი ენტუზიაზმით. არავინ არ ეკითხებოდა თავის თავს: რა საშუალებით უნდა იქნას შენახული შკოლები? უმთავრეს წყაროთ ითვლებოდა ჩვენი ხარჯთ აღრიცხვა. არსად, არც ერთ ქვეყანაში სახელმწიფო არ ინახავს შკოლებს ქვეყნის ხარჯზე ჩვენ კი იძულებული ვიყავით ამგვარად მოვქცეულიყავით, გვქონდა რა ჩვენ განკარგულებაში პური „რაზვიორსტკა“-ს სისტემით და ვიჯერებდით შეგვეძლო გვეთქვა, რომ ადრე თუ გვიან დადგება ისეთი პერიოდი, როდესაც ხალხის მასების ძლიერი ენთუზიაზმით შექმნილი გაფართოებული სასკოლო საქმე ჩაიძირება იმიტომ, რომ მას არა აქვს რეალური მატერიალური ბაზა.

შკოლების რაოდენობის პანიკური შემცირება.

შემოვიღეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჩვენ დავიწყეთ გეგმაშეწონილ მეურნეობაზე გადასვლა შევუდექით სახალხო განათლების ხარჯთ-აღრიცხვის ყოველმხრივ შემცირებას. შემცირება, მთავრობის აზრით უნდა მომხდარიყო არა სახალხო განათლების შემცირების ხარჯზე, არამედ მთავარი მზრუნველობის ადგილებზე გადატანით. ყველა შკოლები, სასკოლო ჰასაკამდე სწავლების დაწესებულებანი და საბავშვო სახლები მოხსნილ იქნა სახელმწიფო მომარაგებიდან და გადავიდა ადგილობრივ საშუალებებზე. სახალხო განათლების კომისარიატის ხელში დატოვებულ იქნა დაახლოვებით 90.000 ერთეული (მასწავლებლის 50 პროც.) როგორი იყო შემცირების შედეგები? ადგილობრივი საშუალებანი ამ დროს არ მოიპოვებოდა დაიწყო შკოლების და საბავშვო სახლების პანიკური დახურვა. ასეთმა შემცირებამ გამოიწვია ის, რომ 1922 წ. აპრილისათვის ჩვენ 380.000 შკოლიდან დაგვრჩა მხოლოდ 68000 შკოლა. ოქტომბერში ჩვენ გვქონდა უკვე 55000 შკოლა 4760000 მოსწავლეთ. მოსწავლეთა რიცხვი უფრო ნაკლებად შემცირდა, მაგრამ საერთოდ შკოლების რაოდენობის და მოსწავლეთა რიცხვის შემცირება ჯერ კიდევ გრძელდება.

ადგილებს აღორძინება იწყება.

[illegible] ობიექტური სურათი მისა, რა მდგომარეობაში იმყოფება ამ უკანასკნელ ხანებში სახალხო განათლება. საჭირო იყო სურვილები შეგვეკვეცა. [illegible] ვიყავით დავეჭვებულიყავით იმით რაც გვქონდა სახალხო განათლების კომისარიატი არ იყო დარწმუნებული, რომ ძირითადად ქვეყანა მოითხოვს შკოლების რიცხვის ასეთ შემცირებას. პირიქით ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უფრო შორს დავეცით, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვდა და ჩვენ ეხლა [illegible], რომ ადგილებზე [illegible], როდესაც ასეთი სურათი [illegible], დიდი ყურადღება მიექცევა შკოლის და სახალხო განათლების საქმეს და უკვე ეხლა შეიძლება ითქვას, რომ [illegible] თუმცა ჯერ ჯერობით მცირე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი შედეგები, რომლებიც უეჭველ აღორძინების მაჩვენებელია.

მასწავლებელთა მდგომარეობა აუტანელია.

ჩვენი შკოლის მეორე მხარე—არის ჩვენი მასწავლებლის ტანჯვა წამება. მასწავლებელთა შორის საშინელ ფაქტებს აქვს ადგილი, [illegible] სიკვდილი, თვითმკვლელობა, პროსტიტუცია და სხვა. განათლების მუშაკთა კავშირის წევრთა საშუალო კვალიფიკაცია გაცილებით მაღალია დანარჩენებზე, ხოლო ხელფასი—გაცილებით ნაკლები. ამის მიუხედავად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეს რაიმე გაუგებარი დამოკიდებულება მასწავლებლისადმი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადგილობრივ ბიუჯეტის და ადგილობრივ რესურსების მიუხედავად, არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმას, რომ მომავალში შეუძლებელი იყოს სახალხო განათლების კომისარიატის [illegible] საერთო სახელმწიფოებრივ ბიუჯეტით.

ადგილობრივი საშუალებანი და სასწავლო გადასახადი.

ადგილებიდან მიღებული ცნობები გვიხატავენ რამდენადმე სასიხარულო სურათს. ზოგიერთ გუბერნიების გვერდით, რომელნიც ძალიან მცირე პროცენტს უთმობენ სახალხო განათლების საქმეს, ვხვდებით ისეთ გუბერნიებს, რომელნიც იძლევიან სახალხო განათლებისათვის მთელი ბიუჯეტის 30 პროცენტს. ასეთ გუბერნიებად ითვლება: ნოვგოროდის, სიმბირსკის, ტამბოვის და სმოლენსკის გუბერნიები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახლო მომავალში სახალხო განათლების საქმეში მაინც მოხდება გარდატეხა უკეთესისაკენ, თუ ჩვენ [illegible] ცენტრიდან. ჩვენ [illegible] თანდათანობით გადასვლა ჩვენი პოზიციების გამაგრებაზე და შემდეგ კი წინსვლა. ამ მხრივ ერთგვარ როლს ითამაშებს სასწავლო გადასახადი 31 ოქტომბრის [illegible] განათლების კომისარიატის დადგენილებით შემოღებულ სასწავლო გადასახადები, ხოლო დანარჩენ გუბერნიებში, საგუბერნიო აღმასკომების დადგენილებით თვით შკოლები აწესებენ სასწავლო გადასახადებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს გადასახადი შეიძლება იქნეს ჩაყენებული ნორმალურ კალაპოტში, ე. ი. გადასახადისაგან განთავისუფლებულები იქნენ გლეხები, მუშები და მოსამსახურეები, რომელთა ხელფასი 18 ხარისხზე დაბალია. და აგრეთვე წითელი არმიელები, ინვალიდები და სხვ. ჩვენ შეგვეძლება უთხრათ გლეხს და მუშას: „ჩვენ განთავისუფლებთ თქვენ შვილებს სასწავლო გადასახადისაგან, ამ გადასახადს დავაწერთ მცხოვრებთა განსაზღვრულ ნაწილს, ექსპლოატატორებს, „ნეპმანებს“. ჩვენ უკვე შემუშავებული გვაქვს პროექტი, რომლის გატარებაც გვსურს სახალხო კომისართა საბჭოში, პროექტი სასწავლო გადასახადის განსაზღვრულ კანონმდებლობის კალაპოტში ჩაყენების შესახებ.

საზოგადო საგანმანათლებლო კერძო შკოლები არ იარსებებენ.

აქ წამოიჭრება საკითხი: [illegible] კერძო შკოლების გახსნა, ვინაიდან კერძო შკოლები მოიპოვება უფასო სწავლების შემოღების შემდეგ? ჩვენ გულწრფელად ვუპასუხებთ: ჩვენ უკვე დავრთეთ ნება კერძო სამხატვრო შკოლის გახსნის, რა თქმა უნდა ჩვენი ხელმძღვანელობით.

ვიწრო ხელოსნური შკოლები: სამუსიკო, სტენოგრაფიული და სხვ. შეიძლება დაუშვათ, მაგრამ საზოგადო განათლების კერძო შკოლები არავითარ შემთხვევაში არა.

სკოლა მცხოვრებლების ხარჯზე

სკოლის დახმარებისათვის არსებობს ერთი ზომა, რომელიც, სწორი გამოდგა: ხელშეკრულება სოფლის მცხოვრებლებთან. თვით დაბეგვრის მაგიერ, ჩვენ წინადადება წამოვაყენეთ დადებულ იქნეს სოფლის მცხოვრებლებთან განსაზღვრული ტიპის ხელშეკრულება სკოლის შენახვის შესახებ. ამავე დროს ხელშეკრულებაში უეჭველად უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა სახალხო განათლების განყოფილების გამგებლობაშია და მაშასადამე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოხდეს ღვდლების ან მსხვილი გლეხობის გავლენის ქვეშ. ეს ზომა უკვე იძლევა საუკეთესო შედეგს. ასე, მაგალითად, უკრაინის განათლების სახ კომისარმა ზატონსკიმ წარმოადგინა ცნობა იმის შესახებ, რომ უკრაინაში არის გუბერნიები, სადაც ყველა სკოლების 70—80 პროც. ინახება ადგილობრივ მცხოვრებლების ხარჯზე. ნოვგოროდის გუბერნიაში დაიდო 408 ხელშეკრულება, ტულის-513, სმოლენსკის—ყველა სკოლების 70 პროცენტზე, ვიტებსკის—60 პროც. და სხვ. პირველ რიგში ჩვენ განზრახული გვაქვს ვიზრუნოთ სოფლის სკოლების აღდგენისათვის. ჩვენ გვინდა მას მივცეთ ისეთი ხასიათი, რომელიც განამტკიცებს ნდობას გლეხებში.

მასწავლებლების გარდაქმნა

ჩვენი მასწავლებლები გამოდგნენ თავის საქმის მუშაობისათვის. მე ვამტკიცებ, რომ მასწავლებლებს შორის არის მრავალი ისეთი, რომლებზედაც დაყრდნობა შესაძლებელია. საჭიროა ენერგიული მუშაობა მასწავლებელთა პერსონალის გარდაქმნისა და ხელახლად მომზადებისათვის. ჩვენ არ მოვითხოვთ ოქროს მთებს, მაგრამ საჭიროა საკმაო საშუალებანი რათა შესაძლებელი გახდეს ადგილობრივ თვითგანვითარების წრეების დაარსება, რათა მასწავლებლების ყოველი კონფერენცია გადავაქციოთ მოკლე სახელმძღვანელო კურსებად.

პროფესიონალური განათლება და სოციალური აღზრდა.

რა უკვე თ ჩვენ ეხლა უმაღლესი სკოლა? რევოლიუციონური ენტუზიაზმის ზეგავლენით ჩვენ [illegible] უმაღლესი სკოლების დიდი რაოდენობა. ჩვენ ეხლა იძულებული შევიქენით თითქმის ყველა ისინი დაგვეხურა. საერთოდ ჩვენ დავხურეთ 49 უმაღლესი სასწავლებელი და 24 უმაღლესი სასწავლებელი შევამცირეთ გაერთიანების გზით. მთელ რუსეთში დარჩა ამ ჟამად 91 უმაღლესი სასწავლებელი. მიუხედავად უმაღლესი სკოლის ამ მაქსიმალური შემცირებისა, ჩვენ კიდევ ვფიქრობთ, შესაძლოა თუ არა მათი კიდევ შემცირება, ვინაიდან ისინი ძლიერ ცუდად მუშაობენ.

უმდაბლესი სამასწავლო პერსონალი ისეთივე უბედურ მდგომარეობაში იმყოფება, როგორც მასწავლებლები. ყველა უმაღლესი სასწავლებლები შეჭირვებულია. ისინი საშინლად არიან მოწყობილი, ვინაიდან ძველი მოწყობილობა უკვე გამოუსადეგარია, ახალი კი არსად მოიპოვება. ჩვენ გვინდა შევქმნათ წითელი სპეციალისტები. საქმე დაწყებულია საუკეთესოდ. მუშათა ფაკულტეტებმა და უნივერსიტეტში [illegible], ბრწყინვალე შედეგები მოგვცა. თუ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ის ჩვენი მთავარი განძია, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მას მზრუნველობა არ მოაკლდეს.

ბრძოლა შავ პროფესურის წინააღმდეგ.

ჩვენთვის საჭირო იყო დასაყრდენი პუნქტი შავ პროფესურასთან ბრძოლის დროს, უნდა გამოგვეგლიჯა მათ ხელიდან ბევრი მსხვილი მეცნიერი, ბავშვები პოლიტიკაში. ეს უკვე გაკეთებულია.

ფაბრიკა ქარხნების სკოლები.

ხაზი უნდა გაესვას ახალგაზრდობის კავშირის სამართლიან მისწრაფებას: დიდი ხნის განმავლობაში კომ. ახალგაზრდობის კომკავშირი მოითხოვდა განათ. სახ. კომისარიატისაგან განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას ფაბრიკა ქარხნის სკოლებისათვის. [illegible] ცნობების თანახმად ჩვენ რუსეთში გვაქვს 500 ასეთი სკოლა და ჩვენ [illegible] იმას, რომ ამ სკოლებში ისწავლიან წარმოებაში და მრეწველობაში ჩაბმულ ახალგაზრდობის 50 პროც.-ზე მეტი.

პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველო

ყველას კარგად ესმის უდიდესი მნიშვნელობა ამ დაწესებულების, რომელმაც კომუნისტური ქვეყანა თავისი პოლიტიკური ხელმძღვანელობით უნდა მიიყვანოს კომუნისტურ [illegible]. 1921 წელს ჩვენ გვქონდა 172,000 წერა კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტი, ამ ჟამად კი მათი რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. პირველი წლის განმავლობაში, როდესაც ეს ქსელი მოედო რესპუბლიკას, ჩვენ წერა-კითხვა ვასწავლეთ 4.800,000 კაცს. შემდეგშიაც რომ ჩვენ ასეთივე ტემპით წავსულიყავით წერა კითხვის უცოდინარობას მცირე ხნის განმავლობაში მოვუღებდით ბოლოს. წინად ჩვენ გვქონდა 28 ათასი სამკითხველო ქოხები, ამ ჟამად მხოლოდ 3,000. რაც შეეხება საგიტაციო ხელოვნებას, ჩვენ სრულიად დავანებეთ მას თავი, მაშინ როდესაც ჩვენმი პლაკატი ცნობილი შეიქნა მთელს მსოფლიოში. ჩვენ გვინდა პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოსთან საგიტაციო ხელოვნების აღდგენა, შემდეგ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ერთად ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ სამხატვრო მრეწველობას.

საგამომცემლო საქმე.

სახელმწიფო გამომცემლობა დიდ ხანს იყო მტკივნეული საკითხი. ამ ჟამად ის არის ერთ-ერთი უდიდესი საგამომცემლო სახლი მთელს მსოფლიოში უკანასკნელ დროს ის უშვებს 1500 დაბეჭდილ ფურცელს.

განათლების ფრონტი ამიერიდან პირველია.

ჩვენ გთხოვთ თქვენ, ამხანაგებო, სთქვათ მტკიცეთ და გადაწყვეტით, რომ განათლების ფრონტი ამიერიდან პირველია.

ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ხალხი, რომელნიც ამ დარგში მუშაობენ და წვალობენ, მასწავლებლიდან სკოლის დარაჯამდე—ცოტათი მაინც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს. ჩვენ არ მოვითხოვთ ყრილობისაგან არც ერთ კონკრეტიულ ციფრს, ჩვენ ვამბობთ: უთხარით სახ. კომისართა საბჭოს, რომ მან გამონახოს საშუალება ჩვენი ცენტრალური ბიუჯეტის გასადიდებლათ, უთხარით ადგილობრივად, რომ მათ მოგვცენ რამდენიც შეუძლიათ და შეასრულონ თავიანთი ვალდებულება. უთხარით ამასთანავე ერთად, რომ მასწავლებელი მუქთახორა კი არ არის, არამედ გმირია.

ოთხასი ათასი სკოლის მუშაკი; ბავშვების მთელი აუარებელი მასა დაინტერესებულია სახალხო განათლების საქმით. და ისინი, სიხარულით შეხვდებიან თქვენს დადგენილებას. ჩვენ არ შეგვიძლია ერთბაშად ბოლო მოუღოთ ჩვენ ტანჯვას, ერთბაშად დავაყენოთ რუსეთის სკოლა ფეხზე, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შევაჩეროთ სკოლის აგონია. მხოლოდ მაშინ დაიწყება სკოლის გაჯანსაღება. (ხანგრძლივი ტაში).

ახ. კომკავშირთან

მჭიდრო დამოკიდებულება გვაქვს. ვიწვევთ გაერთიანებულ კრებებს (ასეთი კრებები ამ თვეში იყო ორი). არის უჯრედებში წარმომადგენლობითი სისტემა.

საბჭოთა ორგანიზაციებთან

კარგი დამოკიდებულება გვაქვს. საჭიროების და მიხედვით ვიწვევთ თათბირებს სადაც კეთდება ინსტრუქტორული მოხსენებები და ირჩევა მთელი რაიონის მნიშვნელობის კითხვები.

კოოპერაციის დარგში

მუშაობა სუსტია. რაიონში არის მხოლოდ სამი ცოტათ თუ ბევრად ღონიერი კოოპერატივი მაღაროები, ტყიბულში და ხრესილში. დანარჩენ ადგილებში ან ძლივს ძლივობით არსებობენ და ან სრულებით მიხურულია. უკანასკნელად ეშჩნევა მუშაობას გამოცოცხლება. კურსების თემში გაიხსნა კოოპერატივი, რომელმაც უკვე დაიწყო მოქმედება და გადაწყვეტილი აქვს გახსნას განყოფილებები მანდიკორში და ცუცხვათში.

რკინის გზის უჯრედები

ჩვენს რაიონში არ არის. სად. ტყიბულზე გვაქვს წრე, რომელშიაც ოთხი რკინის გზელია, ერთი პარტიის წევრი და სამი ყოფ. კანდიდატი. ხრესილში გვყავს ორი რკინის გზელი, ერთი პარტიის წევრია და მეორე ყოფილი კანდიდატი. სად. გელათში არის ერთი წევრი. ამ ამხანაგების საშუალებით ჩვენ ვაწარმოებთ მუშაობას შესაძლებლობის ფარგლებში უპარტიო რკინის გზელებთა შორის.

დასკვნა.

რაიონში საერთოდ კარგი მდგომარეობაა. გლეხობაში უმტკივნეულოდ ტარდება ჩვენი რეფორმები და მთავრობის განკარგულება-დადგენილებანი და ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხობა თანაგრძნობით ეკიდება საბჭოთა ხელისუფლებას. ყაჩაღობას და სხვა ამგვარ მოქმედებას ამ თვეში ადგილი არ ქონია.

მაღაროების მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობა შედარებით წარსულ თვეებთან გაუმჯობესებულია.

ჩვენი რაიონის განსაკუთრებულ პირობების გამო მიწის რეფორმა აქ სრულებით არ არის გატარებული. ეს აუცილებლად უნდა გავატაროთ მომავალ გაზაფხულამდე, რისთვისაც საჭიროა როგორც ადგილობრივ ორგანიზაციების და ამხანაგების ამუშავება, ისე მაზრიდან ორგანიზაციების მიერ ამ საქმეში აქტიური მონაწილეობის მიღება და დახმარების აღმოჩენა.

ტყიბულის რაიპარტ-ინსტრუქტორი: პ. ტყაბლაძე

ეკონომიური ცხოვრება

ბათუმის ბირჟა

ბათუმი. 3 იანვარი. კერძო ბირჟა: ოსმალური ქაღ. ლირა—480—490.000 მან ქრთ. ბონებით. დოლარი—192—200 პიასტრი, 10 მან ოქროსი—1.090—1 00 პიას. გირ. სტერლინგი—810—820 პიას. 20 იტალ. ლირა—145—150 პ. საბჭოთა ნიშნების 24—22 მილიონი ფასობს 1 ოსმალ. ქაღ. ლირათ.

თბილისის ბირჟა

სახელმწიფო ბანკის კურსი 4 იანვრის დღის 1 საათისთვის.

	ყიდ.	შესყიდ.
გირ. სტერ.	4.000 000	3 900.000
დოლარი	840 000	800.000
ოსმ. ქაღ. ლირა	475 000	450 000
ოქრ. 10 მან.	4 400.000	4 200.000
საბჭ. ნიშნები	1,7	1·6

კერძო ბირჟაზე დღის პირველ საათისთვის: ოქროს 10 მან.—5.300.000 ოსმალ. ქაღ. ლირა—500 000 საბჭოთა ნიშნები 2 პროც.

მდგომარეობა თბილისის ფულის ბაზარზე.

3 იანვარი.

ოქროს 10 მ. 4.550—4.600 000 მ. ოსმალ. ქაღ. ლირა 415—425.000 მ. სახელ. ბანკმა დაიწყო ოქროს გაყიდვა 4 050 000 მანეთად.

სტერლინგის კურსმა აიწია, როგორც ბონებით ისე ქაღ. ლირებით. აიწია აგრეთვე რუსეთის საბჭოთა ნიშნებმა, რომლის მილიონში იძლევიან 16.000 (100 მ. 22 წლის ნიშნებით).

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ჰიდროშენის მუშაობა

წარსული წლის მაისიდან ოქტომბრის თვემდე ჰიდროშენის განყოფილება აწარმოებდა და აწარმოებს შემდეგ მუშაობას:—სამელიორაციო—მორწყვა, ჭაობების ამოშრობა, წყალდიდობასთან ბრძოლა და მდინარეების ნაპირების გამაგრება, სანიტარულ ტექნიკაში — წყალსადენი, წყლის მიწოდება, კანალიზაცია, „თეთრ ნახშირის“ გამოყენება—კადასტრი, გამოყენების გეგმა, ცალკე ჰიდრო სადგურები და აგრეთვე ჰიდრო-მეტრიული სამუშაოები.

სარწყავი მუშაობა ფართო მასშტაბით იყო წარმოებული 1922 წლის ნახევარში. მცხოვრებნი ენერგიულად ასრულებენ მუშაობას არხების გასაყვანად. მთავრობის ხარჯზე ინახება ტექნიკური პერსონალი და ეძლევა განყოფილებას სამშენებლო მასალები ხელოვნურ მოწყობილებათა ასაშენებლად.

მუშაობა დაწყებულია და სწარმოებს მათხოჯის არხის გასაყვანად. არხი იწყება მდ. ცხენის-წყლიდან, სიგრძით 11 ვერსია, მორწყვის არე უდრის 2 00 დესეტინას, გახსნილია 15 მაისს, 1 200 დესეტინა მიწის მოსარწყავად. კულაშლანირის არხი აგრეთვე იწყება მდ. ცხენის-წყლიდან. არხი ფართოვდება და მორწყავს 5 000 დესეტინა მიწას (გადიდებულია 2 500 დესეტინით). არხის სიგრძე უდრის —28 ვერსს. უბრალო სამუშაოები დამთავრებულია. შემდეგ სამტრედიის რაიონის ამოსაშრობად გაკეთებულია მთელი რიგი არხები და ხიდები; გაწმენდილია არხები და მდინარე ლოჩიბა. მოირწყება დაახლოვებით 2 500 დეს. მიწა. დაწყებულია გაწმენდა ეჯამითის არხისა, რომელიც მორწყავს 2,500 დეს. მიწას. ქვიტირ—მაღლაკი—ფარცხანაყანევის არხი ქუთაისის მახლობლად (იწყება მდ. რიონიდან ქ. ქუთაისის მიდამოებში) რწყავს 12.000 დეს. მიწას მთავარი არხის სიგრძე უდრის 5 ვერსს და მისი შტოების კი—160 ვერსს. მდ. რიონიდან იწყება გეგუთ—ოფშკვითი—სიყულიას არხი, რომელიც მორწყავს 10.000 დეს. მიწ. არხის სიგრძე—30 ვერსია, ვანი—ტომბანიერი—ამაღლების არხი, სიგრძით 28 ვერსი, რწყავს—6.000-მდე მიწას.

ბაღდათის ახლო მდებარე სოფლების დიმი—როკითის სარწყავი არხი იწყება მდ. ხანის წყლიდან. სიგრძით არის 20 ვერსტი; რწყავს—2.000 დეს. მიწას. სვირის ახლო მდებარე „ულევულის“ მიწების სარწყავი არხი იწყება მდ. ყვირილიდან. არხის სიგრძეა 17 ვერსტი. რწყავს 2.500 დეს. მიწას. ზესტაფონის ახლოს მდებარე ხოხოულის ჭალების სარწყავი არხი იწყება მდ. ყვირილიდან, სიგრძით 18 ვერსტია და რწყავს 2 500 დეს. მიწას. არხი გაიხსნა წარსული წლის ივლისის 23-ში.

სად. ხაშურის და გომის ახლოს მდებარე დოღლაურის ველის სარწყავი არხი იწყება მდ. მტკვრიდან, სიგრძით 36 ვერსტია და რწყავს .000 დეს. მიწას. სად. ხაშურის ახლოს არხი აჩენს წყალვარდნილს, რომლის ძალა აღემატება 600 ცხენის ძალას.

ლოსა—გრაკალის არხი იწყება მდ. მტკვრიდან, სიგრძით უდრის 18 ვერსტს და რწყავს 2.500 დეს. მიწას.

უფლის ციხეს ახლოს არხი გადის გვირაბში, რომლის სიგრძეც 80 საჟენია. არხი გაიხსნა საგანგებო კომისიის მიერ წარსული წლის მაისის 18-ში. სკრა-ქარელის არხი იწყება მდ. მტკვრიდან, სიგრძით უდრის 22 ვერსტს და რწყავს 3.000 დეს. მიწას. არხი გაიხსნა წარსული წლის მაისის 17-ში საგანგებო კომისიის მიერ, 1800 დეს. მიწის მოსარწყავად.

ლამი — მისაქციელი — ზილკანის სარწყავი. არხი იწყება მდ. არაგვიდან; სიგრძით 21 ვერსტია და რწყავს 3.000 დეს. მიწას. არხი გაიხსნა წარსული წლის აპრილის 18-ში ამ ჟამად არხით ირწყება 2.000 დეს. მიწა.

სამგორის ველის არხი იწყება მდ. იორიდან: სიგრძით უნდა იქნეს 55 ვერსტი და უნდა მორწყას 30.000 დეს. მიწა. ტექნიკები და ინჟინრები ახდენენ არხის გამოკვლევას. მოახდინეს არხის გასაყვანი ადგილის მოსწორება და გეგმის შედგენა 22 ვერსტის სიგრძეზე.

ახალ-სენაკის მაზრის ჭანძა-ბაშის და სხვა სოფლების მოსარწყავად არხი უნდა იქნეს გაყვანილი მდ. ცხენის წყლიდან, 15 000 დეს. მიწის მოსარწყავად. ტექნიკები და ინჟინრები უკვე შეუდგენ გამოკვლევას. ს. ხოვლეს 1.500 დეს. სივრცეზე და ს კასპის 1.000 დეს. სივრცეზე მოსარწყავად უკვე სწარმოებს სათანადო მუშაობა.

ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში უკვე გაემგზავრენ ტექნიკები და ინჟინრები, ამ მაზრების სოფლების მოსარწყავ არხების გასაყვანად მდ. ტაპრავანჩაიდან და სხვ.

ბორჩალოს მაზრაში სწარმოებს მუშაობა მდ. მაშვერკიდან არხის გასაყვანად 2.000 დეს. მიწის მოსარწყავად, მოწყობილია წყალსადენი ს. კიკ-კილისისთვის და ხდება შეკეთება გიაირის და სხვა არსებულ სარწყავ არხების.

წყალდიდობასთან ბრძოლის მიზნით მდინარე ცხენისწყალზე მხიდანის თხრილი დაკეტილია. აშენებულია წყლის საგუბარი, რომლის სიგრძე უდრის—260 საჟ განი 5 საჟ. მოცულობა—900 კ. საჟ და სანაპირო თხრილი 100 საჟ სიგრძით. გაყვანილია მდინარის ახალი კალაპოტი (ამოღებულია 2000 კუბ. საჟ. მიწა) სოფელ სამიქაოსთან აშენებულია 4 ჯებირი, რომლის მოცულობა უდრის 260 კუბ. საჟ. და სანაპირო თხრილი სიგრძით 150 საჟ. შემდეგ, გეზათის თხრილთან შესრულებულია პირველ მნიშვნელობის სამუშაო, რითაც გაადვილებულია მდ. ნოღელაზე რკინის გზის ხიდის მდგომარეობა. აშენებულია წყლის მთავარი საგუბარი, რომლის სიგრძე უდრის 60 საჟ.-განი 6 საჟ და მოცულობა—450 კუბ. საჟ., მიწის ჯებირი—60 საჟ სიგრძე და 15 საჟ განი; აშენებულია მდ. ნოღელაზე ხის ხიდი ბოძებზე სიგრძით 8 საჟ

მდინარე ენგურზე ზუგდიდის მახლობლად ოპისის თხრილთან აშენებულია წყლის საგუბარი, რომლის სიგრძე უდრის 100 საჟ, განი 6 საჟ, და მოცულობა 500 კუბ. საჟ, ქვით და მიწით ავსებულია ფიჩხის ლობეები სიგრძით 230 საჟ ძველი კალაპოტი ამოწმენდილია—500 კუბ. საჟ მანძილზე.

ბორჯომის მამულში მდ. ბორჯომზე აშენებულია ქვიდან შესამაგრებელი კედლები—48 კუბ. საჟ, გაწმენდილია წყლის კალაპოტი, პარკი და შესრულებულია სხვა სამუშაო.

სულ არხის გასაყვანად შესრულებულია მიწის სამუშაო—52,000 კუბ. საჟ აშენებულია შლიუზები და ხიდეები—50 ცალი, არხების გასაყვანად მოწორებულია მიწა 2,700 ვერსის მანძილზე; გაყვანილია არხები—500 ვერსის მანძილზე. მცხოვრებთა მიერ შესრულებულია 260 000 დღის და 12.000 ურმის სამუშაო.

მცხოვრებთა მიერ აგრეთვე შესრულებულია 700 კუბ. საჟ ჯებირის გასაყვანი სამუშაო. მოწყობილია მორწყვა—112 800 ვერსის მანძილზე.

აღნიშნულ სამუშაოთა გარდა, მცხოვრებთა მიერ აღძრულია შუამდგომლობა გორის მაზრაში ტირიფონის ველში, რომლის სივრცე უდრის 25,000 დეს., სარწყავ არხების გასაყვანად.

„თეთრი ნახშირით“ გიდრო-აღმშენებლობამ შეასრულა წინასწარი მუშაო ქალაქ ონში ელექტრონის სადგურის მოსაწყობად, რომლის ძალა უდრის 900 ცხენის ძალას, გამოკვლევა დასრულებულია, მუშავდება დეტალური პროექტი. პროექტი შედგენილია. შემდეგ მოწყობილია ჰიდრო ელექტრონის სადგური ქ. ზესტაფონში, რომლის ძალა უდრის 40 ცხენის ძალას. წარმოებს გამოკვლევა და პროექტის შედგენა ქალაქ ხონში 40 ცხენის ძალის ჰიდრო ელექტრონის სადგურის მოსაწყობად. სადგურის ასაშენებლად ხდება მასალების შეძენა.

სწარმოებს მუშაობა ტფილისისათვის ზემო-ავჭალის ჰიდრო ელექტრონის სადგურის მოსაწყობად სადგურის ძალა უდრის 13.000 ცხენის ძალა. სწარმოებს წინასწარი მუშაობა—მუშებისათვის და ტექნიკურ ზედამხედველობისათვის ბინების აშენება, შეძენა სამუშაო იარაღების და მანქანების და სხვ.

აღნიშნულ სამუშაოების ღირებულება (გარდა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურისა) უდრის 88 000 მანეთს ოქროთი, ტექნიკურ პერსონალის შესანახად დახარჯულია 17,000 მ. ოქრ.

მორწყულ მიწებზე უკვე დათესილია ხორბალი, სიმინდი, რაც დიდ სიამოვნებას იწვევს გლეხებში, ასე რომ ისინი დიდი ხალისით და უნარით ეკიდებიან მუშაობის გაგრძელებას.

ქრონიკა

— **უქმე დღეები.** „ა—კ. შრ. სახ. კომ. რწმუნ. სამმარ. საქართველოში მით აცხადებს, რომ შვიდი და რვა იანვარი, შობის დღესასწაულის გამო, არის უქმე დღეები, რის გამო ყველა წარმოება-დაწესებულებებს როგორც კერძოს, ისე სახელმწიფოებრივებს, ევალებათ მუშაობა შეწყვიტონ იანვრის 6 ს, დღის 12 საათზე.

მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატში.

— **სატყეო განყოფილება.** მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილებამ 6 თვის განმავლობაში, დღიდან სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისა, წმინდა შემოსავალი უდრის 7 მილიარდ მანეთს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

— **პირადობის მოწმობები.** იმ ანარქიის და გაუგებრობის მოსასპობად, რომელიც შექმნილია დღეს პირადობის მოწმობათა სისწორის გარშემო—შ. ს. ს. კომისარიატმა შეიმუშა მთლიანი და ერთსახიანი ფორმის ვინაობის წიგნაკი მთელი რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის. ხსენებული პროექტი დადგენილების განმარტებითი ბარათით წარდგენილია დასამტკიცებლათ სახალხო კომისართა საბჭოში.

— **საქართველოს რუკა.** ამ დღეებში გამოვა შ. საქ სახ. კომისარიატის ტოპოგრაფიის მიერ შედგენილი სრულიად საქართველოს რუკა ქართულ ენაზე. რუკის სისწორის შესამოწმებლად და მთავარ რედაქტორათ მიწვეულია პროფესორი ივ. ჯავახიშვილი.

განათლების კომისარიატში

— **ბავშვთა ლიტერატურა** სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობის სალიტერატურო სამხატვრო სექციამ, საბავშვო ლიტერატურის გამოცემათ და თავის საშუალებათა გასაძლიერებლათ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით მიიღო მილიარდ ნახევარი.

ქალაქის აღმასკომში.

— **წყლის და ელექტრონის გადასახადის შესახებ.** პრეზიდიუმმა დაადგინა, სთხოვოს საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს თუ ვინ უნდა გადაუხადოს აღმასკომს სამხედრო მოსამსახურეების და დაწესებულებების—წყლის და ელექტრონის გადასახადი და რა წესით.

— **დახმარება ამხ კამოს სახელობის საბავშო სახლს.** პრეზიდიუმმა დახმარების სახით გადასცა 30 დეკემბერს ამხ. კამოს სახელობის საბავშო სახლის სასარგებლოდ გამართულ სალამოს ხელმძღვანელებს 10 მილიონი, სალამოს მოსაწყობათ.

— **ფარულად დაკლულ ხორცის ჩამორთმევა.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა, ფარულად დაკლულ ხორცის ჩამორთმევის შესახებ გამოცემულ დადგენილების (ოქმი № 54, მუხ. 22) განსამარტავად, დამატებით დაადგინა: ფარულად დაკლულათ ჩაითვალოს და ჩამოერთვას ხორცი შემდეგ შემთხვევებში: 1) ქალაქის სასაკლაოს გარეშე, ქალაქის ფარგლებში დაკლული და დაკვლის ადგილას დაჭერილი. 2) ხორცი, რომელიც აღმოჩენილი იქნება გასაყიდათ ხორცის სავაჭრო დუქნებში, სახინკლეებში, გასტრონომიულ მაღაზიებში, საკატლეტეებში, რესტორან სასადილოებში და სხ. და რომელსაც არ ექნება ქალაქის სასაკლაოს ან მიკროსკოპიულ სადგურის ბეჭედი დასმული. 3) ხორცი, რომელიც თვისი ღირსებით და საბუთებით არ აკმაყოფილებს ქალაქის აღმასკომის მიერ წარსული წლის 11 აგვისტოს გამოშვებულ სავალდებულო დადგენილების № 10, 5-ე მუხლის მოთხოვნილებას. და 4) ხორცის კონფისკაციის შესახებ ოქმს უნ და ამტკიცებდეს სავეტერინარო ქვეგანყოფილების გამგე, ან მისი მოადგილე.

— **დავალიანების შესახებ.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა გაბათილებული იქნეს ის ვალდებულება, რომელიც მიუცია ქალაქის აღმასკომს სახალხო ბანკისათვის 11 მილიარდი ვალის გადახდის შესახებ.

აღმოსავლეთ საქ. რევ-ტრიბუნალში.

— **მექრთამეობისათვის.** 11 იანვარს აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის საჯარო სხდომაზე დანიშნულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ გადმოხვეწილთა ცენტრალურ გადამგზავნ ნაწილის ყოფილ თანამშრომლის არშალუის ოლანეზოვის საქმე, რომელსაც ბრალდება ზემო აღნიშნულ თანამდებობის ასრულების დროს მექრთამეობა.

— **ცილის წამებისათვის.** 10 იანვარს ამავე რევტრიბუნალის საჯარო სხდომაზე დანიშნულია საქმე ყარაიაზის მცხოვრებ ისმაილ მირზა ოღლის, რომელსაც ბრალდება ცრუ საჩივარი ამავე რაიონის მილიციის უფროსზე, თითქოს მას აეღოს ქრთამი.

— **ყაჩაღების გასამართლება.** აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალმა შეიპყრო სოფ. სართიჭალის მცხოვრებლები ანდრია და ზაქარია დურგლიშვილები რომლებსაც ბრალდებათ ამ სოფელში მეწისქვილე ქორქაშვილზე შეიარაღებული თავდასხმა და გაცარცვა. აღნიშნულ ბრალდებულთა საქმეს რევტრიბუნალი გაარჩევს 24 იანვარს საჯარო სხდომაზე

კრებები და მოხსენებები

— საღამოთი 9 იანვარს რკინის გზელთა სასანიტარო განათლების აუდიტორიაში (ჩერქეზიშვილის 108) ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ განათლების განყოფილების მიერ გაიმართება ლექცია შემდეგ თემაზე: „შრომის ჰიგიენა“. ლექციას წაიკითხავს რუსულ ენაზე დოქ. მარკარიანი. ლექციის დასაწყისი საღამოს 6 საათზე. შესვლა თავისუფალი.

ხელოვნება

ა. იუჟინის იუბილე.

3 იანვარს (სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართა ალ სუმბათაშვილის-იუჟინის სასცენო მოღვაწეობის 45 წლის იუბილე.

ლუნაჩარსკიმ სთქვა: „მოსკოვის ერთ-ერთი კულტურული საუნჯეა და პროვინციიდან ჩამოსულ მოქალაქის მოვალეობა არის ის, რომ ნახოს ა. იუჟინი—რიჩარდის, შეილოკის და ფამუსოვის როლებშიო,“

ასეთი აზრისაა არა მარტო ლუნაჩარსკი, არამედ ყველა შემცნელი ადამიანი

ა. იუჟინს თავის იუბილეს დღეს მშვენიერი პროგრამა გამოარჩია და ამ პროგრამაში განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა შექსპირის „რიჩარდ 3-ის“ 1 მოქმედება. ა. იუჟინი კლასიკურ როლებში! მთელი ცნაურებაა სასცენო ხელოვნების. შექსპირის გენიალურ ტიპების განსახიერებისთვის არ კმარა მარტო ნიჭი. აქ საჭიროა კიდევ დიდი ერუდიცია და გაგება სასცენო ხელოვნების ამ მხრით კი პირველია ა. იუჟინი რუსეთის სცენაზე. რიჩარდ 3 მართლაც საგვირგვინო როლია დიდი არტისტის რეპერტუარში.

პირველივე გამოსვლისთანავე ა. იუჟინის რიჩარდი იპყრობს ყურადღებას და ეს ჯადო-ქარი-მსახიობი თავის სასცენო ტექნიკის გამართვაში გასაოცარ შტრიხებს ჰქმნის. პირველი დაწყება მონოლოგის: „აგერ შესცვალა იორიკის მზემ ბრწყინვალემ“ გაისმა როგორც მუსიკალური აკომპანიმენტი. აქ მსახიობმა მოგვცა მთელი სილამაზე შექსპირის დიად მონოლოგების და მისი დეკლამაცია იყო უაღრესი ექსპრესიით შესრულებული.

მაგრამ აი სცენაზე გამოჩნდება: ლედი ანნა, რომელიც უკან მისდევს თავის ქმრის კუბოს. გაისმის წყევლა და კრულვა იმ ჯალათის მიმართ, ვინც მისი ქმარი განგმირა მახვილით. ერთი წუთიც და სცენაზე გამოჩნდება ისევ ა. იუჟინი—რიჩარდი.

აქ უკვე იუჟინი სულ სხვა სახით გვიდგება წინ და მისი რიჩარდი ყველასთან ულმობელი და სასტიკი ლედი ანნას წინ ხდება არშიყი ნაზი ენით მოუბარი. მსახიობმა მოგვცა ისეთი მარკა, რომლის მხატვრული კომპოზიცია სავსებით დამთავრებული იყო.

შემდეგ:

რიჩარდის არტისტულობა და მისი გამარჯვება. რა დიდებული იყო ის წუთები, სადაც იუჟინმა ლედი ანნას გარდაუშალა თავისი გულმკერდი და ხანჯალი მისცა გულში დასაცემად. აქ მსახიობმა მშვენივრად აგვიხსნა და დაგვანახვა: რიჩარდი თავის მიზნების მისაღწევად როგორც ქაღალდის აზარტით მოთამაშე ისე მიისწრაფოდა ბნელ განზრახვებისკენ და გამარჯვებით აგვირგვინებდა თავის საქმეს.

აი ეხლაც საქორწინო გვირგვინი დაადგა ლედი ანნას. სისხლიანი გვირგვინი, რომელიც სავსე იყო რიჩარდის ცოდვებით. ყოველივე ეს ა. იუჟინმა დიდი ვირტუოზობით გადმოგვცა.

საღამოს—დღესასწაულის ფერი ედო. ხალხით გაჭედილი იყო თეატრი და მხურვალე სალამს მის პატივცემულთაგან ბოლო არ ჰქონდა

გვიდო ფერანტი.

—

— **ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება.** ამ დღეებში სახალხო განათლების კომისარიატმა დაამტკიცა ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების წესდება. საზოგადოების მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ახალგაზრდა მუსიკოსთა შემოქმედებას და განვითარებას მუსიკის ყოველ ცალკე სფეროში და აგრეთვე დახმარება აღმოუჩინოს ახალგაზრდობას სწავლისა და სპეციალობის მისაღებათ. საზოგადოება თავის უმთავრეს მიზნათ ისახავს, აგრეთვე შეისწავლოს ხალხური სიმღერები და მოტივები და გააცნოს ის ხალხს. საზოგადოებას ეყოლება ქალვაჟთა გუნდი და ორკესტრი, რომელთა საშუალებით გამართავს კონცერტებს, სალამოებს, ლექციებს, დასდგამს ოპერებს, მუსიკალურ დრამებს და სხ. საზოგადოებას განზრახული აქვს კონცერტების და წარმოდგენების გამართვა სკოლებში, ტექნიკუმებში, ქარხნებში, კავშირებში, ლაზარეთებში და სხვა ამგვარ დაწესებულებებში. საზოგადოებას საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში ექნება ფილიალური განყოფილებები. საზოგადოებას უფლება აქვს შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება. საზოგადოებას საერთო მეთვალყურეობას უწევს განათლების სახალხო კომისარიატი, რომელსაც საზოგადოება უდგენს წლიურ ანგარიშს. საზოგადოება მოთავსებულია ხელოვნების სასახლეში, სერგეევის ქუჩა № 13.

— **სახალხო სახლი.** პარასკევს 5 იანვარს პოლიტ. განათლების მთავარ მმართველობის ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება აკაკის ისტორიული დრამა „პატარა კახი“.

მონაწილეობს მთელი დასი.

დღეს თეატრებში.

— სახელმწიფო ოპერა—მუშებისათვის დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“ რუსთაველის თეატრი—მეორეთ „მზის დაბნელება საქართველოში“ მარჯანიშვილის რეჟისორობით. მუშათა ცენტრალური კლუბი—ქართული წარმოდგენა. სახალხო სახლი—ქართული წარმოდგენა. პროფკავ. ს.ბჭ. კლუბი—შობის ხე.

მუშათა ცხოვრება

საბჭოს არჩევნებისათვის

ამხანაგო მუშებო! 7 იანვარს დაიწყება არჩევნები ტფილისის საბჭოში. მშრომელები მოწოდებულიიქნებიან განაახლონ ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელი დაწესებულება, რომლის რწმუნების ვადა უკვე დასრულდა.

ამხანაგებო! ემზადეთ არჩევნებისთვის! შეუდექით მის წინასწარ მუშაობას!

ქ. თბილისის საბჭოთა პირველი საავადმყოფო

აღნიშნულ საავადმყოფოში, რომელიც თავისი მნიშვნელობით, საწოლთა რაოდენობით (301 საწოლი) და მოწყობილობით წარმოადგენს უდიდეს სამკურნალო დაწესებულებას, იმყოფება—315 მუშა-მოსამსახური.

მუშათა მდგომარეობა ამ საავადმყოფოში შედარებით უფრო უზრუნველყოფილია ყოველმხრივ, ვიდრე სხვა ამ დარგის დაწესებულებებში მაგრამ საავადმყოფოს ცხოვრებაში რამოდენიმე დეფექტს მაინც აქვს ადგილი. ერთ მათგანს ეკუთვნის ზედმეტი ნამუშევრის გასამრჯელოს საკითხის მოუგვარებლობა ნორმაზე მეტ საათების შრომისთვის, რაც ჩვეულებრივ მოვლენათ არის გადაქცეული ამ საავადმყოფოში, მუშები ღებულობენ კომპენსაციას არა ფულად, არამედ სადილით.

ეს გარემოება არ არის ყველასათვის ხელსაყრელი და სასარგებლო და მუშებში იწვევს ერთგვარ უსიამოვნებას. სრულებით დაუშვებელ და გასაკიცხ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის ფრიად უდიერი, უკმეხი და ძველებური ამაყი მოპყრობა ზოგიერთ უფროს შემადგენლობის პირთა მხრივ უმცროსისადმი, რასაც აქვს ადგილი საავადმყოფოში და რაც ბადებს უკმაყოფილებას, ხშირ გაუგებრობას და მტრულ დამოკიდებულებას საავადმყოფოს მშრომელთა შორის. აქ აუცილებლივ საჭიროა წითელი ცოცხი მუშები ჯამაგირს ღებულობენ საშუალოთ 3 ნახ. მილიონ მანეთს თვეში კოლექტიურ ხელშეკრულობით. მაგრამ ჯამაგირის ორი თვის დაუგვიანებლად მიღება აქ იშვიათ ხილად არის ქცეული. გამონაკლისათ უნდა ჩაითვალოს საახალწლოთ დარიგებული ნოემბრის ჯამაგირი, რაც სავსებით უნდა მიეწეროს ადგილკომის ენერგიას და შრომას. ამ ნიადაგზე ინციდენტსაც კი ქონდა ადგილი ადგილკომისა და ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების შორის.

სპეცტანისამოსი ზოგიერთ მუშებს დღემდე ვერ მიუღიათ. ამ კატეგორიის მუშებს ჰპირდებიან ბრეზენტის ტანისამოსს, რაც დიდი უკმაყოფილებას და ქიშპობას იწვევს თვით მუშებში, რადგანაც ერთ ნაწილს მუშებისას დაურიგდა ტყავის ტანისამოსი და მეორეს კი ურიგდება ბრეზენტისა.

კულტურული მუშაობა რიგიანია: არსებობს კლუბი, სადაც დრო გამოშვებით იდგმება სხვადასხვა წარმოდგენები; არის აგრეთვე ბიბლიოთეკაც, სადაც მოიპოვება 300-მდე წიგნი სამკითხველო არ არის. ზოგიერთ მუშებს, რიცხვით 42 კაცს, პირადათ მოსდით გაზეთები.

წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია ხდება საავადმყოფოსთან არსებულ სკოლაში ქართულ და სომხურ ენაზე.

მუშათა მეგობარი.

—

ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილ. სამმართველო

სამმართველოში ირიცხება 73 მუშა-მოსამსახურე. ამ რიცხვში შედის 20 მცველი, შოფერები—7, მუშები—5, დამლაგებელნი—2 და შიკრიკი—2. დანარჩენი — 37 მოსამსახურეა. აქედან ქალების რიცხვი შეადგენს—10.

სამმართველოსთან არსებობს სკოლა, სადაც წავლობენ წერა-კითხვის უცოდინარნი. სწავლა სწარმოებს რუსულ და სომხურ ენაზედ.

აქვე არსებობს ამბულატორია, რომელსაც სათავეში უდგას ცნობილი ექიმი ვარაზიოვი, რომელიც გულმოდგინეთ ეკიდება ავათმყოფთ მუშებს. წამლებს მუშა-მოსამსახურენი იღებენ უფასოთ საბჭოთა აფთიაქებიდან. მუშები დროზედ იღებენ საექიმო დახმარებას. არსებობს აგრეთვე კბილის საექიმო ამბულატორია, რომლის გამგე კბილის ექიმი ჩარკვიანი კარგათ ეპყრობა კბილით ავადმყოფ მუშებს.

ქარხნის კომიტეტთან მოიპოვება წიგნები, რომლებსაც თავისუფალ დროს კითხულობენ მუშები. პროფ-კავშირის მეოხებით ახლო მომავალში ქარხანაში მოეწყობა სამკითხველოც, საიდაც გადმოზიდულ იქნება რუსეთიდან მიღებული ლიტერატურა. ამის გარდა ქართველ მუშებს გამოწერილი აქვთ გაზეთი „მუშა“. რაც შეეხება წარმოებას უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელოსნოში წარმოება სათანადო სიმაღლეზე სდგას, მასალაც საკმაოდ მოიპოვება, მხოლოდ სათბობ მასალის, უქონლობის გამო ადმინისტრაციას უხდება აღნიშნულ მასალის შესყიდვა ს. მ. უ. ს. სათბობ განყოფილებაში. საერთოდ კი ნედლი მასალა და მანქანის ნაწილები საკმაოდ მოიპოვება სახელოსნოს საწყობებში. თავისთავად სახელოსნო კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. მხოლოდ ჯამაგირების დაგვიანება ძალიან აღელვებს მუშებს. პროფ-კავშირები ვალდებული არიან მიაქციონ ამ არა სასურველ მოვლენას სერიოზული ყურადღება და მიიღონ სათანადო ზომებიც.

ადგილობრივი.

ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილების 1-ლ ავტო-სახელოსნოში

1-ლ ავტო-სახელოსნოში ითვლება 63 მუშა და 18 მოსამსახურე. კვალიფიციური მუშები მუშაობენ ნაჭრობლივ, მოსამსახურენი კი ტარიფით. მუშებს ეძლევათ საპონი, სპეცტანისამოსი, საცვალი, შარვალი, ხალათი და ფეხსაცმელი.

ამის გარდა ყოველი მუშა მოსამსახურე ღებულობს დღეში 2 ნახ. გირვანქა პურს. ჯამაგირებს კი არ იღებენ დროზედ, ამის გამო ხშირად ადმინისტრაცია ურიგებს მუშა მოსამსახურეთ „ავანსებს“. ჯამაგირების დროზედ დაურიგებლობა აიხსნება იმით, რომ მრავალი სახელმწიფო დაწესებულებანი არ იხდიან ვალს, რომელიც ედებათ მათ ამა-თუ იმ მაშინის ან მისი ნაწილის შეკეთებაში, რომელიც ხდება სახელოსნოში, რის გამოც ადმინისტრაცია იძულებულია ხოლმე მიმართოს სახალხო კომისართა საბჭოს, რათა მის განკარგულებით მოხდეს იმ ვალის განაღდება, რომელიც ედება სახელმწიფო დაწესებულებას. ჰიგიენის მხრით სახელოსნოში დაცულია სისუფთავე, ყოველ დღე „კუბში“ სდუღს წყალი და შესვენების დროს მუშები შეექცევიან ხოლმე ჩაის.

სახელოსნოებში,—სახელდობრ სამუშაო ოთახებში,—სინათლე საკმაოა, სისუფთავეც დაცულია, ზოგან სდგას ფეჩები და სათანადო სითბოც არის. ფანჯრებში შუშებიც ჩასმულია ყველგან ქარი და სიცივე მუშებს არ აწუხებს საღი ჰაერიც აქვთ.

ი. ელიაშვილი.

პროფკავშირებში

პროფესიონალური მუშაობა საქართველოში.

(ნოემბერი 1922 წ.)

პოლიტიკურმა და ეკონომიურმა პირობებმა საქართველოს პროფესიონალურ მოძრაობაზე, მისი აპარატის სტრუქტურაზე, თვით მის ტემპზე იქონია გაცილებით უფრო მეტი გავლენა, ვინემ ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებში. პროფესიონალურ მოძრაობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საქართველოს პროფკავშირთა საბჭო, მაგრამ ადმინისტრატიულ სამეურნეო მიზეზების გამო მას ექვემდებარებიან აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ-ოსეთის პროფკავშირთა საბჭოები და ქუთაისის, ბორჯომის და ფოთის ქალაქის პროფბიუროები. ამას გარდა მაზრებში მას მოეპოვება სამაზრო პროფესიონალური ბიუროები (6) და რწმუნებულები (8).

რასაკვირველია მრავალფეროვანება სტრუქტურაში თავის გავლენას ახდენს პროფესიონალურ ორგანიზაციების მუშაობაზე, უმთავრესად კი ადგილობრივ ორგანოებისა და ცენტრების (საქართველოს პროფკავშირთა საბჭო, ცეკა, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიურო და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალ საბჭო) ურთიერთობაზე. მიუხედავათ პროფესიონალური მუშაობის გაუმჯობესებისა (უმეტესად ცენტრში და უფრო ნაკლებათ მაზრებში) დაბრკოლებას ადგილი აქვს თვითეულ ფეხის ნაბიჯზე. პროფესიონალური მოძრაობის ცენტრს წარმოადგენს ქ. ტფილისი, რომელშიაც ახალი რეგისტრაციის შემდეგ აღმოჩნდა 35,983 წევრი. მრავალ მიზეზების მიხედვით საკავშირო მუშაობის ზოგიერთი დარგები კმაყოფილდებიან მხოლოდ ტფილისით, და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პროფესიონალური მუშაობის შეფასების დროს ხშირად გვხდება დაკმაყოფილება არა მთელი საქართველოს პროფესიონალური მოძრაობის მდგომარეობით, არამედ მხოლოდ ცენტრის.

ორგანიზაციული აღმშენებლობა.

მთავარი ყურადღება ნოემბრის განმავლობაში ექცეოდა გაწმენდას და ხელახალ რეგისტრაციას.

1 დეკემბრისთვის ხელახალი რეგისტრაცია დამთავრებული იყო მხოლოდ 10 კავშირში. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროს დირექტივების მიხედვით ხელახალი რეგისტრაციის შედეგები უნდა გამოირკვეს 1923 წ. იანვარში. პროვინციებში გაიგზავნა 7 ინსტრუქტორი, ინსტრუქციების დასარიგებლად ადგილებიდან გამოიწვიეს 6 მუშაკი.

მუშათა შტატების შემცირების გამო, ადგილობრივ ინფორმაციულ სტატისტიკურ აპარატების მუშაობა შეწყდა, რამაც ხელი შეუშალა ხელახალ რეგისტრაციის სასწრაფოდ ჩატარებას. ამიტომ ნოემბერში საჭირო იყო მთავარი ყურადღების მიქცევა ამ დარგის საკავშირო მუშაობისათვის. ათი კავშირის ცენტრალურ გამგეობაში შეყვანილი არიან ინფორმაციის და სტატისტიკის სპეციალური მუშაკები, ხოლო დანარჩენებში ეს მუშაობა მიმდინარეობს თანამშრომლობის წესით. ამ რიგად, აპარატი თანდათანობით მტკიცდება. დამთავრებულია აგრეთვე პასუხისმგებელ პროფესიონალურ მუშაკების აღრიცხვა ცენტრში, ახლო მომავალში კი მაზრებშიც დამთავრდება.

საბოლოოდ დამტკიცებულია დებულება ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და ადგილკომების შესახებ. შემუშავებულია და დამტკიცებული მუშაობის გეგმა პროფკავშირთა საბჭოს ყველა დარგებისათვის 1922 წ. ნოემბრის და დეკემბრისათვის.

გატარებულია სოციალური დაზღვევის კამპანია.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა

საკმაო საშუალებათა უქონლობის და სათანადო მუშაკების სიმცირის და სხვა მიზეზების გამო კულტურული მუშაობა ვერ იქნა განვითარებული სასურველად. ყველაზე უკეთესად არის დაყენებული წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე. ნოემბერში თბილისში მუშაობდა 60-დე კავშირთა სკოლები სამი ტიპის: წერა კითხვის სკოლები, სკოლები 1 და 2 საფეხურის. მეცადინეობა სწარმოებს ყველა 4 ენაზე: ქართულზე, სომხურზე, რუსულზე და თურქულზე.

პოლიტექნიკუმთან და სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსებულია მუშათა ფაკულტეტები, სადაც პროფკავშირებს ყავთ 600 კაცი.

პროფტექნიკური განათლება იმყოფება ჯერ კიდევ განვითარების პროცესში. თბილისში მოიპოვება მხოლოდ ერთი ფაბრიკა ქარხნის სასწავლებელი, რომელიც გადმოკეთებულია ყოფ. სახელოსნო სასწავლებლიდან, სადაც იმყოფება 250 ბავშვი. ამას გარდა მოიპოვება კიდევ პროფესიონალური კურსები: სტენოგრაფიის, ბუჰგალტერიის და აფთიაქის მოწაფეების. ნოემბრის შუა რიცხვებში გაიხსნა მოკლევადიანი კურსები პროფესიონალურ მუშაკების მოსამზადებლად.

კლუბების მუშაობა მოისუსტებს, თანაც კლუბების საქმე არ არის სწორად დაყენებული.

ფართო მასიურ ხასიათის მუშაობის ნაცვლად, კლუბებში ადგილი აქვს წრეობრივ, სექტიური ხასიათის მუშაობას, როგორიც არის დრამატიული და მუსიკალური სტუდიები, შახმატის წრეები და სხვ.

პროფესიონალური აგიტაცია და პროპაგანდა თითქმის არ სწარმოებს. საერთო განმანათლებელ და სამეცნიერო-ტექნიკურ ლექციებს იშვიათად კითხულობენ. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტურული განყოფილება აქცევს ამას ყურადღებას და ახლო მომავალში უნდა ვეცადოთ მთელი საკლუბო მუშაობის რეორგანიზაციას. საქმის ასე დაყენება აიხსნება უმთავრესად წმინდა ობიექტიური პირობებით (საშუალებათა უქონლობით და მუშაკების სიმცირით) ნოემბერში გამოვიდა ქართულ ენაზე მასიური-გაზეთი „მუშა“—საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ორგანო.

სატარიფო მუშაობა.

მთავარი ყურადღება სატარიფო მუშაობის სფეროში ექცეოდა კავშირებისათვის ინსტრუქციების მიწოდების, დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებათა გადასინჯვას და აგრეთვე ახალ ხელშეკრულებათა დადებისათვის. სულ ნოემბრის განმავლობაში სხვადასხვა კავშირების მიერ დადებულია 25 ხელშეკრულება, რომელთაგან 21—სახელმწიფო წარმოებებთან, ხოლო 4 კი კერძო წარმოებებთან, რომელშიაც მუშები შეადგენდენ 661 კაცს. სულ 1 დეკემბრისთვის თბილისში დადებულია 117 კოლექტიური ხელშეკრულება, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს 25,316 კაცი.

სამუშაო ხელფასის რაოდენობა პირველ სატარიფო ხარისხისათვის კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით ნოემბერში ქანაობდა 1,067 ათ. მანეთიდან 2,900 ათასამდე (კომუნალურის გარდა). რაც შეეხება სამუშაო ხელფასს სახელმწიფო დაწესებულებებში, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო მომარაგებაზე, აქ სამუშაო ხელფასი მუშავდებოდა საერთო სახელმწიფო მინიმუმით, რომელიც ნოემბერში უდრიდა 930 ათას მანეთს, რომელშიაც შედიოდა ნატურალური ნაწილი და კომუნალური სამსახური. თუ ამას ვიანგარიშებთ ომამდე არსებულ მანეთით შეადგენს 4 მ. 23

პასუხისმგებელი მუშაკების ტარიფის 1 ხარისხის განაკვეთების შემუშავებას საფუძვლად დაედო განაკვეთების 3—5 არითმეტიკული საშუალო კოლექტიურ ხელშეკრულებაზე უფრო გამოსადეგი.

უმუშევრობის მიხედვით, რასაც ადგილი ქონდა მრეწველობის ცალკე დარგების შემცირების გამო, მდგომარეობა კარგს იმედებს იძლევა.

1 ნოემბერს უმუშევართა საერთო რაოდენობა აღწევდა 12,214 კაცს. უმუშევრობის უმრავლესობას (50 პროცენტს დაახლოვებით) შეადგენდენ არა კვალიფიციური მუშები, შემდეგ მათ მისდევენ ინტელიგენტური შრომის მუშაკები (25 პროცენტამდე) და მხოლოდ 12—15 პროცენტს შეადგენენ კვალიფიციური მუშები. სოციალურ დაზღვევას უჭირავს ერთი ერთი ცენტრალური ადგილი თანამედროვე მუშათა ცხოვრებაში. 1 ნოემბრის ცნობებით, საქართველოში დაზღვეულთა საერთო რაოდენობა უდრიდა 79,000 კაცს. პენსიების და დახმარებების გაცემა ხდება დაუბრკოლებლათ საკავშირო საბჭოს დეკრეტის ნორმების მიხედვით, ლო მშობიარობის და ბავშვის კვებისაც შემთხვევებში ადგილი აქვს ნაწილობრივ დარიგებას.

საკმაო ინტენსიობით მიმდინარეობს კოოპერატიულ მუშათა ორგანიზაციების მუშაობა, რომელთა რიცხვი საქართველოში უდრის 28, რომელშიაც მონაწილეობს კავშირის 56,000 წევრი. ამ რაოდენობის ნახევარს შეადგენენ ტფილისის ორგანიზაციების წევრები (28,000) მუშათა კოოპერატივების საშუალებას, უმთავრესად შეადგენს სასურსათო სახალხო კომისარიატის მიერ გაღებული ფონდები (საქონელი), ხოლო უკანასკნელ დროს ზოგიერთი კავშირები ათავსებენ თავიანთი კაპიტალის ნაწილს ერთიან მუშათა კოოპერატივთან ახლად დაარსებულ ბანკის განყოფილებაში და მით ხელს უწყობენ მუშათა კოოპერაციის განვითარებას და გაძლიერებას.

განათლების მუშაკთა კავშირში.

(წერილი ახალქალაქიდან).

ზოგიერთ ჩვენს დაბალ და საშუალო სკოლებში, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებშიაც, მოკალათებული არიან აშკარა კონტრ-რევოლუციონერები, მენშევიზმის ნაძირალები და ყოველი ჯურის რეაქციონური ელემენტები.

ასეთი მასწავლებლობა რყვნის მოზარდ თაობას, უნერგავს მას ჯერ კიდევ ნორჩ-უმანკო გულში ყოველგვარ მორალობას და საწამლავით აჩვევს მათ ასეთივე სურათით რესპუბლიკის მიმართ.

მართალია სკოლებს ჩამოვაცილეთ ხუცები, რომლებიც რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში მონობა მორჩილებას აჩვევდა ყოველდ [illegible] ქმნილებებს და საშინლად უნილებდა მათ გონებას, მაგრამ სკოლებში მაინც დარჩა საკმაო რიცხვი [illegible] ძალი [illegible], მაგრამ ჩვენი სკოლები ჯერ კიდევ [illegible] თავისუფალი ასეთებისაგან

კავშირის სარაიონო კონფერენციები [illegible]

ამ მხრივ ყველაზე უფრო რეაქციონერის ახალ სენაკის რაიონი წარმოადგენს (კერძოდ ქალაქის მასწავლებლობა) აქ მართლაც დანამდვილი მტრობაა მუშურ-გლეხური ხელისუფლების. მათ საკუთარ სამაზრო კონფერენციაზე თავიანთ დელეგატების გაყვანა, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ იგემეს სასტიკი და მწვავე დამარცხება.

სამაზრო კონფერენციის დელეგატთა უმრავლესობა წარმოადგენდა კომპარტიის წევრებს და კანდიდატებს. კავშირის გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: 1) ვასო ქობულია; 2) მამანტი კაჭარავა; 3) ვარლამ ნადარეიშვილი; 4) გუგუ გაბისონია; 5) მიხეილ ჩიტაია; 6) ბეგლარ იოსავა და 7) პარასკევა დიდბუაძე (5 კომუნისტი და ორი უპარტიო); კანდიდატებით: 1) ვერა კიზირია; 2) იასონ ცომაია; 3) ქრისტე [illegible].

სარევიზიო კომისიაში: 1) ბესარიონ კიზირია; 2) კიმოთე გაგუა; 3) თამარი ფირცხალავა.

განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებად არჩეულ იქნენ: 1) ვასო ქობულია; 2) მამანტი კაჭარავა; 3) ვარლამ ნადარეიშვილი; 4) კონსტანტინე კოპალიშვილი და ნადარეიშვილი (4 კომუნისტი, 1 უპარტიო თანამგრძნობი კომპ.) კანდიდატებით: 1) ალექსანდრე მოსია, 2) ანტონ კაჭარავა.

ვის არ ახსოვს დელეგატთა შემადგენლობა წარსული ცენტრალური ყრილობის! ვის არ ახსოვს „ავარიზმული" გამოსვლა წარსული დელეგატთა რეაქციონური ნაწილის! დიახ, იყვნენ მაშინ ისეთი ყველა ელემენტი, მასწავლებლობა, სკოლების და [illegible] კავშირის დანაშაული [illegible], თუ ვინმე ნამდვილი დამცველი მათი ინტერესების და საერთო მუშა ხალხის ინტერესების! [illegible] მტრები!

ყოფილი გამგეობის იხსენიება ღვაწლს მუშაობაზე იყო [illegible] გამგეობას არ ქონია ხაზგასმული გეზი („უპარტიო") [illegible], თითქმის არაფერი [illegible] კულტურულ დარგში, რომლისთვის მთავარი ყურადღება უნდა მიექცეოდეთ.

ახლად არჩეულ გამგეობას დიდი მუშაობა აწევს მათ ზურგი უნდა იყოს კავშირის წევრობა, როგორც მატერიალურ, ისე კულტურულ მხრით მათი გაუმჯობესებისათვის და საერთოდ მათი ინტერესების დასაცავად.

გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. მამანტი კაჭარავა. კონფერენცია შესდგა 26 დეკემბერს.

კომსომოლელი.

პროვინციაში

ლაგოდეხი.

23 დეკემბერს, შესდგა თემის პოლიტგანათლების, კომიტეტის, რაიონის რუკომის და საბჭ. კოოპერატივის წარმომადგენლების თათბირი, რომელზედაც სხვა საკითხთა შორის იქნა დასმული საკითხი, გაზეთების გამოწერის შესახებ. თათბირზე ხაზგასმულ იქნა ის გარემოება, რომ გაზეთების მიუღებლობის გამო თემი მოწყვეტილია ქვეყანას; გლეხობა მოკლებულია საშუალებას გაეცნოს ყოველდღიურ ახალ ამბებს. ამხანაგების წინადადებით დაარსდა კომისია რომელმაც უნდა აწარმოოს და უხელმძღვანელოს ხელის მოწერას ყველა გაზეთებზე და მათ თავის დროზე მიწოდებას. აღნიშნულ კომისიაში შედის პოლიტგანათლების წარმომადგენელი, რომელიც ხელმძღვანელობს ამ საქმეს. აგრეთვე ამ თათბირზე, კოოპერატივთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ადგილობრივი კოოპერატივი „დ ხიარება" სწირავს საგანმანათლებლო საქმეს გაზეთების გამოსაწერად 2 მილიონ მანეთს, კოოპერატივი „მუშკოპი"—10 მილიონ, კოოპერატივი „იმედი" 2 მილიონ. რომლითაც, დადგენილ იქნა გამოწერილ იქნეს სხვა და სხვა გაზეთები: კავშირის სიმართლე 7 ცალი, „კომუნისტი" 5 ცალი, „პრავდა გრუზიი" 2 ცალი, „მიწის მუშა" 7 ცალი, „სპარტაკი" 3 ცალი, სომხური გაზეთი ერთი ცალი და თათრული ერთი. აღნიშნული დადგენილება ცხოვრებაში ტარდება და აღნიშნულ გაზეთების ფულიც [illegible] გაგზავნათ ხსენებულ გაზეთების ფასი. გარდა ამისა ზემოხსენებული კომისია შედგა კერძო პირთა შორის ხელის მოწერის წარმოებას ყველა გაზეთებზე.

ვფიქრობთ, რომ შემოხსენებულ კოოპერატივები დადგენილება, რომელიც მსახურება ხალხის განათლების საქმეს, საყურადღებო იქნება ყველასათვის.

შ. გოგუაძე.

სუფსის რაიონი.

(გურია).

სუფსის რაიონი მდებარეობს შავი ზღვის ნაპირების მახლობლად, მცხოვრებლების უმრავლესობა მშრომელი გლეხობაა. აქ [illegible] მემამულე [illegible] ხსენებულ რაიონში ბლომად მოიპოვებოდა, რომლების [illegible] მიწა ბლომად მოიპოვება ამ რაიონში; მახლობელი თემები, რომლებსაც საკმაო მიწის რაოდენობა არ გააჩნიათ, ამ რაიონში მდებარე მიწებით სარგებლობენ.

საბჭოთა ხელის უფლების მიწის კანონმა დიდი სიამოვნება მოუპოვა მშრომელ ხალხს, დღეს [illegible] ისმის „მეათედი, [illegible]" და სხვა.

[illegible]

ბის დამთავრებას. ყოველგან შეკეთებულია სკოლები და სხვა.

ქურდობასთან ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს. მშრომელი ხალხი ერთად ერთ მხსნელ მთავრობას ქურდებისაგან ხედავს საბჭოთა ხელი უფლებას. ყველა თემში დაარსებულია ქურდობასთან მებრძოლი კომისიები, რომლებიც ენერგიულად მუშაობენ რაიონის მილიციასთან შეთანხმებით. ამ რაიონში [illegible] სიწყნარე და მშვიდობიანობაა. უკანასკნელ ხანებში ქურდობის ნიშნები სრულებით არ ჩანს.

რაიონში პარტიული მუშაობა დიდი ენერგიით სწარმოებს. ყველა თემში [illegible]

[illegible]

მ. [illegible]

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა

ძველი მანდატების და სამსახურის მოწმობების გაუქმების შესახებ.

ვინაიდან არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო დაწესებულებათა თანამშრომლები სარგებლობენ მათთვის სამსახურის გამო მიცემულ მანდატებითა და მოწმობებით იმის შემდეგაც, რაც ისინი სამსახურიდან დათხოვნილი იქნენ, და ამით შეცდომაში შეჰყავთ ხელისუფლების ორგანოები და შეიძლება კერძო პირნი და დაწესებულებანიც, ასეთი მოვლენების თავიდან ასაცილებლად წინადადებას ვაძლევ ყველა მაზრის და ქალაქის და ავტონომიურ ერთეულების აღმასკომებს, რათა როგორც აღმასკომების, ისე უკანასკნელების ქვემდებარე დაწესებულებათა თანამშრომლებს სამსახურის მანდატები და მოწმობები ეძლეოდეს ვადით არა უმეტეს 3 თვისა, და რომ ეს ვადა აღნიშნული იყვეს თვით მანდატებსა და მოწმობებზე. ხოლო რაც შეეხება მანდატებსა და მოწმობებს, რომელნიც გაცემულნი არიან ამ ბრძანების გამოქვეყნებამდე, ყველა ისინი გაუქმებულად უნდა ჩაითვალონ: ტფილისში—ამა იანვრის 7 რიცხვიდან, ხოლო პროვინციაში—ამავე თვის 15 რიცხვიდან.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველი—დ. ჩიქოვანი.

3 იანვარი 1923 წ.

ქალ. ტფილისი

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პროფესიონალური

— შინაგან საქ. სახ. კომისარიატის მიერ დანიშნულია დასახიჩრებულთა კავშირის რევიზია. სარევიზიო კომისია შეუდგა მუშაობას 2|1 და მიმართავს ყველა, როგორც სახელმწიფო ისე კერძო დაწესებულებებს და აგრეთვე მოქალაქეებს, ვისაც აქვს პრეტენზიები და მასალები წერილობის სახით გადაუგზავნოს მას შემდეგი მისამართით პეტროგრადის ქუჩა, № 3, დასახიჩრებულთა კავშირი.

განცხადებები

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

დღეს, 5 იანვარს

კოტე და ქეთო

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

(კრ. 11—1—1)

1923 წელს 11 იანვარს,

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამეურნეო-მატერიალურ

სამსახურში

დანიშნულია ფასების კონკურენცია რკინის გზისათვის 2,500,000 ცალი რუსული საშენი აგურის მიწოდებაზე.

ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს კონკურენციაში და იკისროს თავის თავზე აგურის მიწოდება, უნდა შემოიტანოს წერილობითი განცხადება სამეურნეო-მატერიალური სამსახურის უფროსის სახელზე, არა უგვიანეს 11 იანვ. დღის 12 საათისა, ეს განცხადება დახურულ კონვერტში წარწერით: „11 იანვ. კონკურენციისათვის": უნდა ჩაუდვან განცხადებისათვის მატერიალურ სამსახურთან გაკეთებულ განსაკუთრებულ [illegible], განცხადებასთან ერთად უნდა იყოს კვიტანცია რკინის გზის სამმართველოს კასაში გირაოს შეტანის შესახებ, რაც შეადგენს მისაწოდებელ აგურის ღირებულების 5 პროცენტს

სამ.-მატერიალური სამსახურის უფროსი

ხუცისოვი.

(კრ. 13—3—1)

ამიერ-კავკასიის რკინის გზების

ტფილისის ქალაქის

სადგური

იღებს ცოტა და დიდი ხნით ტვირთებს და საოჯახო ნივთებს

შესანახად

საწყობებში სადგურზე და ქალაქში ერევნის მოედანზე ყოფილ თამამშევის ქარვასლაში,

შედარებით იაფ პირობებში. (კრ. 808—5 4.

ამიერ-კავკასიის რკ. გზების

თბილისის ქალაქის

სადგური

იღებს გადასატანად ტვირთებს რკინის გზის სადგურიდან შემდეგი ფასებში:

ერევნის მოედნამდე	15 000 მ. ფუთზე
მოედნამდე	15 000 „ „
ვორონცოვის მოედნამდე	10.000 „ „
სხვა პუნქტებამდე	შეთანხმებით

ყოველდღე საბარგო სადგურზე იმყოფება ქალაქის სადგურის წარმომადგენელი ტვირთების გადატანის მონდობილობათა მისაღებად.

კრ. 8 7—5—4

დაიკარგა საბინაო დავთარი № № 7429—266, ჩერქეზიშვილის № 164 ივანე გოქაძის სახლი. გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულად (11 1—1)

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მოცემული გომის თემის აღმასკომის მიერ და სამხედრო ბიგარის ნოზა, მოცემული ქუთაისის სამხედრო ოლქის [illegible] უფროსისგან, ნოე ივანეს ძე თოფურიძის სახელზე ეს საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად. (10—1—1)

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით. რენტგენი დარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობით

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. ექიმობა სიფილისის ნერვიულ განყოფილებით. სავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (733—25—6)

დოქტორი **გ. მეგრაბიანცი**

„ყ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა"

შინაგანი ფილტვების—ელექტ და გულის ავადმყოფ. სპეც. წამლობა მალარიისა შმ. 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი. იღებს 9—12 ს. დღ. და 5—7 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23. (68425—23)

ქ. ტფილისის მე-8 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს გარდაცვალებულების ისიდორე ივანეს ძე და იაგორ ივანის ძე ლუდუშაურების მემკვიდრეებს აღნიშნულ ისიდორე და იაგორ ლუდუშაურების გარდაცვალების შემდეგ დანაშთ ქონებაზედ ორი თვის განმავლობაში თავიანთი უფლებების განსაცხადებლად.

(9 1—1) სახალხო მოსამართლე არ. ხურგუდაძე.

ამიერ-კავკასიის

საბჭ. სოც. რესპ. ფედერაციის საკავშირო საბჭოს

დადგენილების თანახმად № 42, 11 ოქტომბრის თარიღით, № 48, 16 ოქტომბრის თარიღით და № 62, 19 დეკემბრის თარიღით.

ამიერ-კავკასიის

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს

ყველას საყურადღებოდ ყველას საყურადღებოდ

დამატებით და ლიცენზიურ

გადასახადების შესახებ, რომელიც დაწესებულია ქვემოდ ჩამოთვლილ სამონოპოლიო საქონელზე საზღვარ-გარეთ გატანის დროს.

სამონოპოლიო საქონლის სახელწოდება	ლიცენზ. გადასახ. 2 პრ. რაოდ. საზღ.-გარ. ფას. მიხ.	დამატებ. გადასახ.
1 ცხვრის ტყავი	0,08	0
2 თხის ტყავი	0,12	0
3 მატყლი	—	—
ა) კვერნის	52,00	70,00
ბ) კარაკული	16,00	130,00
გ) მელის ჩვეულებრივი—	8,60	0
დ) წავის	4,80	10,00
ე) კურდღლის	0,80	0
ვ) მგელის	0,60	0
ზ) დათვის	0,60	0
თ) ტურის	0,40	0
ი) მაჩვის	0,24	0
კ) კატის	0,24	0
ლ) ქრცვინის (хорек)	2,40	0
მ) ციყვის	4,00	3,00
4. ხიზილალა	0,80	0
5 ნაწლავები—		
ა) ცხვრის შიგნეული	3 20	12,00
ბ) მსხვილფეხა საქ. შიგნ. სვილი	0 16	0,80
გ) говяжьи круги	0 40	3 00
დ) „ синюги	0,40	2,00
ე) ცხვრის შიგნ. გამხმარი	12 00	30,00
ვ) მსხვილფეხა საქონ. შიგნეული გახმარი	0,80	10 00
ზ) მსხვილფეხა საქონ. „синюги"	0 80	9,00
თ) ცხვრის „синюги"	0 20	2,00
6. სპირტი კონიაკის	0,02	0
7 ბამბა	0 32	1 20
8 ღვინის წიპო	2 80	7,00
9 ტყავი დაუმუშავებელი		
ა) ხარის ტყავი სველი	0 08	0
ბ) ცხენის „ „	0,06	0
გ) ხბოს „ „	0,08	0
დ) ხარის ტყ. გამხმარი	0,10	0
ე) ცხენის „	0,08	0
ვ) ხბოს „	0,16	0
10. ა) აბრეშუმის პარკი	2,32	18,00
ბ) „ „ გახვრეტ.	1,20	4,00
11. აბრეშუმი—	6,00	25,00
„ ფრიზონი	1,20	5,00
„ ხ ჭი (ბა ნეტურდურ)	0,20	0
12. ჯაგარი დაწყობილი	2,00	10,00
„ დაუწყობელი	0 80	4,00
13. მატყლი გარეცხ. გორის, დუშეთის, ახალგორის (შემოდგომის და გაზაფხულის ნაკრეჭი)	0,40	0
მატყლი გაურეცხელი 1) მერინოსი (რუს) გატანა დროებითი აკრძალულია. 2) თუშური, დონმა, ფასანაურის, ხუხის, შემახის, განჯის, ბაიაზეთის, მაკინის ცხვრები	0,26	0
მატყლი აქლემის	0,26	0
14. ძირტკბილა	0	0
15 კაკლის ხეები	0 02	0
16. ბზა	0,06	0
17. ცხენის ბალანი		
ა) ძუა	0 80	2 00
ბ) ფაფარი	0,20	0
18. შაქარი რაფინადი	0,32	1,20
„ ფხვნილი	0,24	1,10
19. თამბაქო	0,40	1,00
20. სპილენძის ფურცელ.	0,32	0
„ „чушков"	0,02	0
21 ნოხები კავკას.	8,00	2,00
„ არაკავკას.	12,00	8,00

Коллекция [illegible]

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარის მოადგილე ზაჟინსკი.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის მდივანი იმანიშვილი.

(კრ. 14—2—1)

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო ბანკის ბალანსი

(ციფრები აღნიშნულია მილიონებით)

ბალანსი

1 იანვრის 1923 წ.

აქტივი

1. კასსა,	10,665
2 სახელდახელო ანგარიშები	18,940
3 ძვირფასი ნივთები და უცხოეთის ვალუტა კუთვნილი ბანკისა	69 534
4. განღდებული სავ ჭრო ვალდებულ და ვადიანი ქაღალდ.	54 657
5. „ თამასუქი პროტესტში და გაგზავნილი საინკასოთ	13 377
6 სპეციალი სესხები. ანგ. უზრუნველყოფ თამასუქით და საქონ.	48,231
7. სესხი საქონლის დაგირავებით.	44,266
8 ანგარიში სავაჭრო განყოფილებასთან	1,474
9. „ კორესპონდენტებთან	17 787
10. „ მთავრობასთან	2,282
11. „ განყოფილებებთან	39,377
12. თამასუქ. ქაღალდი, ღერბის მარკა და დასაბრუნებელი თანხები	23,189
	843,779

კონტროლიორი

ბალანსი

1 იანვრის 1923 წ.

პასივი

1 ძირითადი თანხა	200,000
2. უზრუნველყოფილი თანხა	42,600
3. სპეციალური კაპიტალი	5 000
4. სახელდახელო ანგარიში	23,986
5. გადაუხდელი გამოგზავნილი ფული	62
6. გარდამავალი თანხები	39,056
7. სარგებელი შემდეგ წელში გარდამავალი	4,404
8 ანგარიში მოგებისა და ზარალისა	28,671
	843,779

ბუღალტერი

(კრ. 15—1—1)